ციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 10 აგვისტო 1918 წ.

# ერთობა

ცალი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული ... უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почт. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 168 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა № 168

თფილისში მყოფი ამხანაგები მოხევის მხრისა ღრმა მწუხარებით აუწყებენ თავიანთ ამხანაგის ტრაღიკულათ გარდაცვალებას

**ნიკოლოზ თევდორეს ძე წიკლაურისას**

მიცვალებულს წაასვენებენ სოფ. სიონში. დასაფლავება მოხდება 14 აგვისტოს. (1—1)

## ომის ახალი ხანა

საერთაშორისო ომი ახალ ხანაში გა...ვის.

...რუსეთის ყოფილი მოკავშირენი—ინგ...-საფრანგეთი და იაპონია-ამერიკა ...სეთის წინააღმდეგ ირაზმებიან. ალ...ნულ სახელმწიფოების აგენტებმა ინ...რიგის ძლიერი ქსელი გააბეს რუსეთ..., რამდენიმე მკვლელობა მოაწყვეს, ...მ ამ გზით ომის რკალიდან ფორმა...ურათ გამოსული რუსეთი ისევ ომში ...თრიათ და გერმანიაზე გამარჯვება ...აჩქარებიათ. და როცა ამით მიზანს ...რ მიაღწიეს, აშკარა გამოსვლას აწყო...ნ: როგორც ვიცით, რუსეთის ყოფილ ...კავშირეთა ჯარები ჩრდილოეთ რუ...თში გაჩენილან და პეტროგრადისაკენ ...ქრობენ გალაშქრებას. ამავე დროს ...პონია და ამერიკა ციმბირის დაჭერას ...რებენ.

ჩვენი წინასწარმეტყველება გამართლ...ა. ბალშევიკებმა დემაგოგობით მოინ...მეს სოციალისტურ რუსეთის აშენება. ...მისთვის ფეხქვეშ გასთელეს მოკავშირე...ბის უფლებები და არა თუ სამარცხვი...ო ზავი შეკრეს, საიდუმლო ხელშეკრუ...ლობებიც კი გამოაქვეყნეს, რითაც, ვი...ომ დიდი რევოლიუციური საქმე გააკე...ეს. ყველაფერს თავისი ლოღიკა აქვს და ...ალშევიკურმა მართვა-გამგეობამაც შე...აფერი ნაყოფი გამოიღო: რუსეთი და...აწილდა, მაგრამ თვით ბალშევიკების სამ...ელობელო—ველიკოროსიაც ვერ ასცდა ...ხალს ომს და მშვიდობიანობა ვერ და...მყარა.

როგორი შედეგის მოტანა შეუძლია ...მის ამ ახალ ხანას? შესაძლებელია ...ევანდელი მტრები შეკავშირდენ და ...რუსეთი გაინაწილონ. ამ შემთხვევაში, ...ვეი არ არის, ომი მალე დასრულდება ...და ზავის საქმე დაჩქარდება. შე...საძლებელია სულ სხვა შედეგი, მაგრამ ...არა ისეთი, რომელსაც ინგლის-საფრან...გეთი მოელიან. ამ უკანასკნელთ სურთ ...რუსეთი დაიმორჩილონ, იქ სახელმწიფო...ებრივი წესრიგი აღადგინონ და შემდეგ გერმანიის წინააღმდეგ გამოიყვანონ. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ თუ რუსეთს კიდევ შეუძლია ომში მონაწილეობის მიღება, ის გერმანიასთან ერთად მიიღებს მონაწილეობას და ინგლისის მტრებს კიდევ ერთი ახალი მტერი მოემატება.

პირადათ, ჩვენ კი მდგომარეობა გვავალებს ყოველგვარი ზომები მ ვიღოთ, რომ რაც შეიძლება ჩქარა შევქმნათ ძლიერი რეგულიარული ჯარი, რომელიც შესძლებს ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვას.

არასოდეს ისეთი მოპიდებით და პატივით არ ეპყრობიან შეიარაღებულ ძალას, როგორც ომის ხანაში. და თუ ჩვენ, როგორც პატარა რესპუბლიკა, უძლური ვართ საერთაშორისო ურთიერთობა შევცვალოთ, სამაგიეროთ ძლიერი ჯარით ჩვენ ადვილათ შევძლებთ ჩვენი მეზობლების მხრით პატივი და მორიდება დავიმსახუროთ.

## ქვეშევრდომობის საკითხი

ქვეშევრდომობის საკითხი ერთი მთავარი საკითხთაგანია სახელმწიფო წესწყობილებისათვის: თუ უტერიტორიოთ და უმთავრობოთ შეუძლებელია სახელმწიფოს არსებობა, ასევე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ის უხალხოთ. ამიტომ სახელმწიფომ უნდა იცოდეს, თუ ვინ არის მისი მოქალაქე და ვინ სტუმარი, უცხოელი.

ჩვენმა პარლამენტმა უკვე მიიღო ქვეშევრდომობის კანონი. მართალია ის არ არის სრული, რადგან ყოველის მხრით არ არკვევს აღნიშნულ საგანს. მაგრამ მთავარი დებულებები მაინც განსაზღვრულია, სახელდობრ ის, თუ ვინ არის ქვეშევრდომი და რა უფლება მოვალეობა აწევს მას.

რაც შეეხება ამ კანონის ცხოვრებაში გატარებას, საუბედუროთ, ამ მხრით, ჯერ არაფერი გაკეთებულა. ეს კი ფაქტიურათ ყოველგვარ ძალას და მნიშვნელობას უკარგავს ამ კანონს. დღესაც, როგორც მის მიღებამდე, ბნელით არის მოცული ეს საქმე, დღესაც არავინ იცის თუ რა არის მოქალაქის და არა-მოქალაქის უფლება-მოვალეობა. ავიღოთ თუნდაც თანამდებობის პირები. ახალი კანონით, არა მოქალაქეს უფლება არ აქვს რაიმე თანამდებობა იკიროს სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებაში. დღეს არა თუ ასეთი პირები მოიპოვებიან, ისინი აშკარა დამრღვევ მ ღვ წეობას ეწევიან ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და ქვეშევრდომობის კანონი ცხოვრებაში იქნას გატარებული.

## პრესის თავისუფლება

ჩვენი რესპუბლიკის და მთავრობის წინააღმდეგ სასტიკათ ამხედრდენ რუსი მონარქისტები და მოხელეები, კადეტების და მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერების სახით, სომხის შოვინისტები და ქართველი ნაციონალ-დემოკრატები. ამ ქამათ ყველას გადააჭარბა კადეტების გაზეთმა „ნაროდნაია სვობოდამ".

ეს პატივცემული ორგანო არავითარ ანგარიშს არ უწევს არც საერთაშორისო ურთიერთობას და არც ამ ურთიერთობით გამოწვეულ შინაურ გასაჭირს და ცხოვრების მოუწყობლობას. მისთვის ეს არ არსებობს. მას მიზანში ამოუღია საქართველოს რესპუბლიკა და რადგან მის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლა მოუხერხებლათ მიაჩნია, ამიტომ ის ამხედრებულა საქართველოს პარლამენტის და მთავრობის წინააღმდეგ. რა დააშავა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ? რითი შესცოდეს დემოკრატიის წინაშე ჩვენმა მთავრობამ და სახალხო გვარდიამ?

ამათ იხსნეს მოქალაქე ბალშევიკთა თარეშისაგან და ოსმალთა ურდოების შემოსევისაგან. ნუ თუ ასეთი მოღვაწეობა დასაძრახისია? მაგრამ კადეტები ხომ ხალხის ინტერესებს არ დაგიდევენ. მათ ვერ მოუნელებიათ ჩვენი რესპუბლიკის არსებობა, რადგან ამით ნიადაგი ეცლება რუს ჩინოვნიკობას. და აი კადეტებმაც მოსძებნეს ჩვენი ცხოვრების სუსტი ადგილი: ეს არის პურის და სხვა სანოვაგის სიძვირე. ყველა რიგიანი მოღვაწე შეეცდებოდა ამ მოვლენის ახსნას, ყველა რიგიანი პოლიტიკოსი დაინახავდა, რომ პურის გაძვირებაში არავითარი წილი არ უდევს ჩვენს მთავრობას და პარლამენტს, რადგან უპურობა გამოწვეულია ომით, ხოლო ომი ჩვენს მთავრობას არ დაუწყია, მაგრამ კადეტების ორგანო მაინც სარგებლობს ამ შემთხვევით და ხალხს, მშიერს ხალხს, უწესოების მოსახდენათ იწვევს. და რომ უფრო გასაგები იქნეს მასისთვის მთავრობის დანაშაული, კადეტების ორგანო იხსენიებს ახალს კანონს სიკვდილით დასჯის შესახებ. თურმე მთავრობა სიკვდილით სჯის კონტრ-რევოლიუციონერებს და იმავე დროს სპეკულიანტები ნელის სიკვდილით სჯიან მშიერ ხალხს, რასაც მთავრობა ყურადღებას არ აქცევს. „ნაროდნაია სვობოდას" აგიტაციის ცხადსაყოფათ მეტი არ იქნება მოვიყვანოთ ზოგი ადგილი ამ გაზეთის 9 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ ერთი წერილიდან („ვინ არის დამნაშავე"?).

„ნუ თუ თქვენ არ გესმით, რომ თქვენი პასივობით ხელს უწყობთ ვაჭრების გამდიდრებას და სიბოროტეს და სიძულვილს აღვივებთ იმ მასაში, რომელიც რევოლიუციასაც ახდენს და კონტრ-რევოლიუციასაც? ყოველ დღე მატულობს პურის ფასი და ჩქარა, ძალიან ჩქარა დადგება დღე, როცა მცხოვრებლებს ყიდვის საშუალება გამოელევათ და მშივრები დარჩებიან. მშიერ კაცს კი თავის შეკავება არ შეუძლია...

და რომ ვინმე ადგეს თქვენს წინა აღდგეს შიმშილის გამო, რომელშიაც ის თქვენ თითონ ჩააგდეთ?..

დააყენეთ ყოველ მაღაზიასთან სამიოთხი წითელ გვარდიელი და დახვრიტეთ ყველა, ვინც პურისთვის მოვიდეს. ეს უფრო ჰუმანიური იქნება, ვინემ ხელის შეუშლელათ შეუშვათ მაღაზიაში პურისათვის მოქალ... უკაცრავათ, „ობივატელი". მე ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას „ობივატელი", რადგან არ მოგახსენებ ვაჭრის, მინისტრის ან წითელ გვარდიელის, არამედ უბრალო მომაკვდავის შესახებ, რომელიც ასე შორს არის მოქალაქის პრივილეგიებისაგან".

დიდი კომენტარიები არ ესაჭიროება „ნაროდნაია სვობოდას" აღნიშნულ წერილს. ასე სწერენ „ტროდოვოე ზნამია" და „სოც.-დემოკრატი" და „ორიზონ"-„აზხატავორი". ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის, რაც ამ გაზეთების ფურცლებზე ხდება არ არის პრესის თავისუფლება, არამედ ეს არის აღვირ ახსნილი აგიტაცია ჩვენი სახელმწიფოს არსებობის წინააღმდეგ. ამას ანგარიში უნდა გაუწიოს ჩვენმა მთავრობამ, რომელიც მოწოდებულია ქვეყნის ბედ-იღბალი განაგოს.

## უკმაყოფილო პირი და მისი ნაამბობი

განსაცდელის დღეებში ჩვენი კუთხის ზოგიერთი მხარეები მოიარა პეტერბურგელ გაზეთ „ნოვაია ჟიზნ"-ის თანამშრომელმა სტ. ვოლსკიმ.

როცა ოსმალები მოდიოდენ ჩვენი ქვეყნის ასაოხრებლათ, ზოგიერთ ჩვენს ამხანაგებთან თუ მტრებთან ერთად სტ. ვოლსკი იმ აზრისა იყო, რომ საქართველო უნდა გაუმკლავდეს ოსმალთა ჯარებს საკუთარის ძალით და თუ დამარცხდება, ქვეყანა აოხრდება, რუსეთის დემოკრატია თუ საბჭოთა მთავრობა დაეხმარებაო.

ნემცებს კი თავი არ უნდა შეაფაროთ, თუ გინდ მათ დაგიცვან ოსმალოებისგანო.

როცა ჩვენი ქვეყნის აოხრებას მისი გადარჩენა ვარჩიეთ, ეს ხალხი გაგვირისხდა, უკმაყოფილოდ დარჩა.

ნაწილი ამ უკმაყოფილოთა საქართველოშივე დარჩა და ჩვენს წინააღმდეგ აგიტაციას ეწევა ზეპირად თუ წერილობით, მეორე ნაწილი რუსეთისაკენ გაეშურა და იქ ეწევა ამ მუშაობას.

აქ დარჩენ ზერიოზოვ - სმირნოვ დ. გ—ები და სომხის თუ სხვა შოვინისტებთან ერთად თავს გვესხმიან. იქ წასულთა შორის ჯერ-ჯერობით სჩანს მხოლოდ სტანისლავ ვოლსკი.

როგორც ადგილობრივ ესერების „ტრუდოვოე ზნამია" სწერს, ის თურმე ასე აცნობს რუსის საზოგადოებას ჩვენს დამოუკიდებლობას.

„რკინის გზის ყველა სადგურებზე და თფილისის სადგურზედაც ფრიალებს არა საქართველოს, ადერბეჯანის, არარატის ან ოსმალთა დროშა, არამედ—ლურჯ-შავ-წითელი დროშა გერმანიის იმპერიისა—ეს პირველი ნიშანია კავკასიის ბედის გადაწყვეტისა..

„პოლიტიკური ხელმძღვანელობა დიდი ხანია გაუსხლტდა ხელიდან პოლიტიკურ პარტიებს და ჩაუვარდა იმათ, რომლებიც ზარბაზნებით ლაპარაკობენ.

„საქართველოს დამოუკიდებლობას არ გამოუწვევია ხალხში აღფრთოვანება. გერმანიის შემოტევას დაწყებაო,—აი რას ამბობს ხალხი ნაციონალური განვითარების ახალი ფაზისში.

„თვით თფილისში გერმანიის ელჩი ფონ შულენბურგია ბატონ პატრონი ყველაფრის. მისი სახელით ახდენენ ლაზარეთების სადგომთა რეკვიზიციას, გაჰყავთ ჯარში სამხედრო ვალდებული ნემცები და უკანასკნელ ხანებში აგრძნობინებენ საქართველოს მთავრობას, თუ როგორი ხალხი უნდა შევიდენ სამინისტროში და აღნიშნავენ სოციალისტების მთავრობაში მავნებლობას. საქართველოს გერმანიის ვასსალად გახდომის ფაქტი ხდება ყველასათვის დასანახად".

ბევრ ასეთ ცნობებს ავრცელებს ჩვენს შესახებ რუსეთში სტ. ვოლსკი.

ნუ შევეხებით იმას, თუ რით არის საქართველოსთვის უარესი გერმანიის ვასსალად ყოფნა, ვიდრე რუსეთის უბრალო პროვინციად დარჩენა და ვიკითხოთ—განა მართალია ყველა ის, რასაც სტ. ვოლსკი სწერს?

გერმანიის დროშებმა, გერმანიის ჯარისკაცებმა იხსნეს ჯერ ჯერობით საქართველოს ტერიტორია ოსმალთა შემოსევისაგან და თუ სტ. ვოლსკიმ მშვიდობიანათ გამგზავრება შესძლო პეტროგრადში სხვათა შორის ამ ჯარისკაცების და ამ დროშების წყალობით.

მაგრამ მარტო სტ. ვოლსკი ხომ არ არის უკმაყოფილოთა რიცხვში?

მასთან თავს იყრის ყველა ჯურის ნაციონალისტები და სოციალისტურ ქურქში გახვეული იმპერიალისტები „ნაროდნაია სვობოდიდან" დაწყებული რუსულ „სოციალ-დემოკრატით" გათავებული.

სტანისლ. ვოლსკის წერილში ისეთი არაფერი თქმულა, რაც ზემოხსენებულ კამპანიას რამდენიმეჯერ არ დაეწეროს აქ; ჩვენის აზრით სტ. ვოლსკის მიერ პეტროგრადში გამოთქმული აზრის იმავე ღირსებისაა, რა ღირსებისაც არის ნათი აქაური თანამოაზრეების მიერ არა ერთხელ გამოთქმული აზრი თფილისში და თუ „ტრუდ. ზნამია" სიხარულით აღარ არის ვოლსკის წერილის გამო, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შეიძლება ვოლსკის წერილი იქ პასუხის გამცემი არ დაურჩეს და რუსეთის დემოკრატიას ყალბათ გააცნონ აქაური მდგომარეობა.

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

8 აგვისტო.

**ვენა.** პარიზიდან მიღებული ცნობების თანახმად საფრანგეთის სოციალისტები მოითხოვენ აუცილებლათ გამოქვეყნებულ იქნას სამთა შეთანხმების სახელმწიფოთა მიერ ომის მიზნები, ვინაიდან ცენტრალურ სახელმწიფოთა შორის ის აზრია გავრცელებული, თითქოს გერმანიის მოწინააღმდეგე კოალიციას გადაწყვეტილი ჰქონდეს გერმანიის სრულიად განადგურებაო.

**როტერდამი.** ინგლისის საადმირალო იუწყება, რომ ბრიტანეთის ორი ნაღმის გამანადგურებელი 3 აგვისტოს დაეჯახა მტრის ნაღმს და ჩაიძირა. დაიღუპა 97 კაცი.

**ბერლინი.** საჰოსპიტალო და სატრანსპორტო გემი „ვარილდა" უკან დაბრუნებისას ჩაიძირა. აკლია 123 კაცი. როგორც, სჩანს, ისინი დამხრჩვალი უნდა იყვნენ. 650 კაცზე მეტი, რომლებიც გადარჩენ ცოცხალნი, ნაპირად გამოვიდენ.

**მოსკოვი.** ტაშკენტიდან, ლენინს. ორენბურგის ფრონტზე ორსკის მხრით წინ მივიწევთ. ცნობებია, რომ ორენბურგისკენ მოდიან ცერიმის გზატკეცილით საბჭოს ჯარები აქტიუბინის მიმართულებით. ჩვენი მხრით მსვლელობა სუსტია, ვინაიდან სამხედრო მასალის ნაკლებობასა ვგრძნობთ. სემირეჩენსკში რამდენიმე ბრძოლა მოვიგეთ. ყველაზე უფრო საძნელო გახდა ჩვენთვის ასხაბადის ფრონტი, რომელმაც მოგვწყვიტა კრასნავოდსკს და ბაქოს და მოგვისპო ნავთი. ამ ფრონტზედაც ჩვენი წინსვლა წარმატებით მიმდინარეობს. სამხედრო მასალა რომ საკმარისად გვქონოდა, აჯანყება ამდენ ხანს ჩამქრალი იქნებოდა. ნავთის გადმოტანა შეუძლებელია იმის გამო, რომ ბრძოლაა ასხაბადის ფრონტზე კარგი იქნებოდა ზურგიდან შემოტევა კრასნოვოდსკზე. გადაეცით ამის შესახებ ბაქოში. ბაქოში აცნობეთ რუსეთის საქმის ვითარება მოკლედ—რა მდგომარეობაშია თურქესტანში ჯარების გამოგზავნის საქმე. რა გვარია საერთო მდგომარეობა.

**მოსკოვი.** სამხედრო კომისარის ტროცკის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნენ არხანგელის საბჭოთა ის წევრები, რომელთაც ინგლისელებს შესაფერი წინააღმდეგობა არ გაუწიეს არხანგელსკში დესანტის გადმოსხმის დროს და სამარცხვინოთ გაიქცენ შუაგულ რუსეთში.

9 აგვისტო.

**ბერლინი.** ორივე ნაპირად მდ. ლისისა ჩვენ მოვიგერიეთ ინგლისელთა იერიშები. სომმის ჩრდილოეთით მტერს ძლიერი იერიშები მოჰქონდა. მთელი ღამის განმავლობაში საარტილერიო სროლა იყო. სუასონის და რეიმსის შუა საარტილერიო სროლა ხან გამოშვებით ძლიერდება. უმნიშვნელო შეტაკებას ჰქონდა ადგილი. ვოგეზებში ჩვენი ჯარები წინ მიიწევენ.

**ვენა.** იტალიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა. ალბანიაში ჩვენმა აეროპლანებმა იერიშები მიიტანეს აეროდრომზე და ყუმბარები ჩაჰყარეს.

---

სააგენტო აცხადებს, რომ რადიოსადგურს დილით დეპეშები არ გადაუცია მისთვის სრულად.

## საუბარი ვალ. ჯუღელთან

საქართველოს სამხედრო გზიდან უკვე დაბრუნდა ჩვენი ჯარი და სახალხო გვარდია. ვალერიან ჯუღელმა შემდეგი გვიამბო:

„7 აგვისტოს დაბრუნდა თფილისში 27 ივნისს დუშეთის მაზრაში გაგზავნილი სახალხო გვარდია.

ამნაირათ დუშეთის ექსპედიციამ თითქმის თვე ნახევარი გასტანა, ჯარმა მონაწილეობა მიიღო ათ დიდ და პატარა ბრძოლაში, წაართვა მეამბოხეებს 4 ზარბაზანი, 5 ნაღმის მსროლელი, თხუთმეტამდე ტყვიისმფრქვეველი, 2000-მდე თოფი, ცხენები და დიდ ძალი სურსათი.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს სრულიად შეთანხმებული და ამხანაგური მუშაობა სახალხო გვარდიელებისა და მუდმივი ჯარის ნაწილებისა. არავითარ უთანხმოებას მათ შორის ადგილი არა ჰქონია. ჯიბო ყაჩელის სამთო „ვზვოდი" გიგო სულიკაშვილის მარტირის „ვზვოდი", გედევანიშვილის რაზმი და ფურცელაძის პატარა ბათალიონი საუცხოვოთ მოქმედობდენ და სახალხო გვარდიელებიც მათ სრულის ნდობით და პატივისცემით ეპყრობოდენ. დუშეთის ოპერაციამ დაამტკიცა, რომ სახალხო გვარდია ჯარის საუკეთესო მეგობარია და მათი უთანხმოება მხოლოდ პროვოკაციის ნაყოფია.

ჩვენი ექსპედიციის პოლიტიკური მხარე სამხედრო გამარჯვებაზე უფრო შესანიშნავი იყო. გლეხობამ თანდათან შეიგნო, რომ ჩვენ მისი ერთგული მეგობრები ვართ და ამით ბოლო ელება საზიზღარ პროვოკაციას. თვითეული გვარდიელი იყო არა მარტო მეომარი, არამედ—მებრძოლი-პროპაგანდისტიც და ეს გარემოება ძლიერ აადვილებდა ჩვენს ექსპედიციას. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქსნის და რეხულის ხეობის გლეხობაზე იმან, რომ ჩვენ ახალგორელ მდიდარ ვაჭრებს, რომლებიც „ბალშევიკობდენ", ჩამოვართვით მარილი, ფართალი, საპონი და კოოპერატივს გადავეცით. ეს იყო „მოქმედებითი პროპაგანდა", რომელმაც ლახვარი ჩასცა „ბალშევიკების" პროვოკაციას. ასეთი კონფისკაციის იდეა ეკუთვნოდა ამხ. ალექსანდრე დგებუაძეს.

საერთოდ სოფელი უყურადღებოთ არის მიტოვებული. ჩვენი ვალია მეტის ენერგიით ვიმუშავოთ სოფლათ და პირველ ყოვლისა საჩქაროთ და მწყობრათ ჩავატაროთ მიწის რეფორმა".

# ახალი ამბები

**ბაქოდან** ს. დ. მ. პ. საოლქო კომიტეტმა ბაქოს ორგანიზაციისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: პარტიის ინტერესები მოითხოვს ბაქოში პასუხისმგებელ პარტიულ მომუშავეების გამოგზავნას.გთხოვთ დაჩქარებით გამოგზავნოთ ამხანაგები.

**ერობის არჩევნები.** ერობის არჩევნები, რომელიც დანიშნული იყო თფილისის გუბერნიის სხვადასხვა მაზრებში 2—4 აგვისტოს, არ შესდგა, რადგანაც სოფლებში გაცხარებული მუშაობა იყო.

**მარილი** სასურსათო სამინისტროს მიერ ყირიმში ნაყიდი მარილის ერთი ნაწილი--50 ვაგონი ჩამოვა ფოთიდან დღეს, 10 აგვისტოს.

**სამხედრო სასამართლო.** დღეს, 10 აგვისტოს, დილის 10 საათზე ყოფილი სამხ. სასამართლოს შენობაში გაიხსნება პირველი საჯარო სხდომა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოისა.

**ჭ მეები.** ზოგიერთ ადგილობრივ გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული, ვითომც სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს დაედგინოს „შემოღებულ იქნას საქართველოს რესპუბლიკის საეკლესიო და სამოქალაქო ცხოვრებაში ახალი სტილი". საკათალიკოსო საბჭო აცხადებს, რომ ამის მსგავსი დადგენილება არ მიუღია, პირიქით, საბჭოს დადგენილებით საეკლესიო დღესასწაული კვლავინდებულად ძველის დროთაღრიცხვით უნდა იუქმებოდეს, რაიც სათანადო განკარგულებისათვის ეცნობა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს.

**დატუსაღება.** ს. კ. ალავერდოვი მილიციის ბრძანების შეუსრულებლობისათვის დატუსაღებულ იქნა 3 თვით.

**დაჯარიმება.** ხმოსანი აბაზოვი, ეზოს უსუფთაობის გამო დაჯარიმებულ იქნა 500 მანეთით.

**დათხოვნა.** უფროსი მილიციონერი ტერ-აირაპეტოვი თავის ნებით მორიგეობის თავის დანებებისათვის დათხოვნილ იქნა სამსახურიდან.

**გარნიზონის უფროსმა** დაატუსაღა: „ბ იუე ცარია ხრანის" მღერისათვის რუსთა რაზმის პრაპორშჩიკი გიორგი მაღალოვი, პრ. ბ. ავსიანი და პრ. ცისტოვი, მილიციონერის შეურაცხყოფისათვის—პორ. ბარბაძე, აფიცრის შეურაცხყოფისათვის—ჯარისკაცი ვლ. ინასარიძე, თავის ნებით სადარაჯოს მიტოვებისათვის დ. ციბაძე.

**ერევნიდან** მოსულ ცნობით, ერევნის თათრები იხიზნებიან ყარსის, სარაყამიშისა და სხვა რაიონებში.

**როგორც ქუთაისში** მოსული ცნობებიდან სჩანს, ჯუღაშვილს (სტალინს) არავითარი მოწოდებით არ მიუმართავს რაჭველებისადმი. (ს. დ.).

**ხოლერა.** უკანასკნელ დღეებში თფილისის ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს 4 ხოლერიანი და 6 საეჭვო. საეჭვოდან სახოლერო განყოფილებაში გადაიყვანეს 8, მორჩა 8 ხოლერიანი და 7 საეჭვო. მოკვდა 7 ხოლერიანი და 2 საეჭვო. 8 აგვისტოს საავადმყოფოში იყო 124 ხოლერიანი და 26 საეჭვო.

**შავი ქვის მრეწველთა ყრილობა.** შავი ქვის მრეწველთა ყრილობამ დაადგინა: მოიწვიოს 13 აგვისტოს შავი ქვის მრეწველთა არაჩვეულებრივი ყრილობა, რომელიც გადასწყვეტს შავი ქვის მრეწველთა კითხვების და საბჭოს ქუთაისიდან ჭიათურაში გადატანის შესახებ.

**კავკავში ბალშევიკებისა** და კაზაკებს შორის ბრძოლა სწარმოებს.

**საქართველოს მოხელეთა კავშირი** უმორჩილესად სთხოვს ყოველ წევრს შემოიტანოს თავისი ხვედრი საწევრო გადასახადი, რადგან საბჭოს მუშაობისთვის აუცილებელი საჭიროა ფული. ფულს იღებს კავშირის მოლარე თედო თურქაძე საკანტროლო პალატაში, დიდი მთავრის ქუჩაზე, № 28, 9—3 საათამდის, ტელეფონი 1—94.

**აბრეშუმის პარკი.** ქუთაისში აბრეშუმის პარკის ფასი ფუთზე 200 მდე ავიდა. ვინაიდან მყიდველები ძლიერ ცოტანი არიან, ხონში, სენაკში და სხვაგან ფასმა დაიკლო 70-მდე.

**ფოთის საერობო არჩევნებში** გავიდა 2 სოციალდემოკრატი და 2 ნაციონალ დემოკრატი.

**რკინის გზაზე.** რკინის გზაზე მოსამსახურეთა მთავარმა კომიტეტმა დაადგინა წინადადება მისცეს რკინის გზის ყველა მოსამსახურეთ, რომელნაც ირიცხებიან ახლად დაარსებულ რკინის გზის ქართველ მოსამსახურეთა კავშირში, ერთი კვირის განმავლობაში გამოვიდენ კავშირიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველანი დათხოვნილი იქნებიან სამსახურიდან.

**აქც საზ. გ. გ. ადელხანოვის** მუშათა კოოპერატივის გამგეობა კვირას, 11 მარიამობისთვეს, დილის 11 საათზე იწვევს საზოგადო კრებას ამავე საზოგადოების შესამოს განყოფილების ეზოში. უკეთუ კანონიერი რიცხვი წევრების დაუსწრებლობის გამო არ შესდგა კრება, შემდეგი კრება დანიშნულია 18 მარიამობისთვეს, რომელიც ჩაითვლება კანონიერათ რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

**ვერის სახალხო გასართობთა** მომწყობი საზოგადოება კვირას, 11 ივლისს, მე 6 სავაჟო გიმნაზიაში (უდელის ქ. № 3), იწვევს თავის წევრთა და თანამგრძნობთა საერთო კრებას.

**გვარდიელთა კრება.** შაბათს 10 აგვისტოს დილის 8 საათზე ტრამვაის პარკში მეორე რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი იწვევს საერთო კრებას ფრიად საჭირო კითხვების გასარჩევათ.მოხსენებას გააკეთებს ვ. ჯუღელი. აუცილებელია. ყველა გვარდიელების დასწრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ **სომხების დელეგაცია.** მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. რამიშვილმა მიიღო დელეგაცია სომხის ნაციონალური საბჭოსაგან, რომელმაც შუამდგომლობა აღძრა გაეუქმებიათ სწავლა განათლების სამინისტროს ცირკულიარი, სადაც ნათქვამი იყო, რომ არა ქართველ მოწაფეების მშობლებმა განცხადება უნდა შეიტანონ თავიანთ შვილების სასწავლებელში დარჩენისა და საქართველოს ქვეშევრდომობის სურვილის შესახებ. ნ. რამიშვილმა უპასუხა, რომ ასეთი დადგენილება საქართველოს მთავრობას არ გამოუტანია და მოსწავლეებს არავითარი დამოუკიდებლობა არ ექნებათ ქვეშევრდომობის საკითხთანო. ნ. რამიშვილმა სთხოვა დელეგაციას აცნობონ თუ რამდენი სასწავლებელი იქნება სომხის მოწაფეებისათვის საჭირო.

◆ **მიწის მიმღებ კომისიამ** საბურთალოს რაიონში ჩაიბარა 821 დესეტინა 1473 კვად. საჟ. მიწა.

◆ **ლექცია.** 11 აგვისტოს ნაძალადევის თეატრში, წაიკითხავს ლექციას ხოლერაზე ექიმი ვაშაკიძე.

◆ **მიტინგი წყნეთში.** კვირას, 10 აგვისტოს, ს. წყნეთში გაიმართება მიტინგი, სადაც სასოფლო კომისია გზავნის თავის წარმომადგენელს.

**კრებები და მიტინგები.**

კვირას, 11 აგვისტოს, საბურთალოს თეატრში დილის 10 საათზე დანიშნულია საბურთალოს ახალშენის მცხოვრებ მუშათა კრება.

— 11 აგვისტოს, დილის 11 საათზე, ახალ კლუბში შესდგება კრება ქართულ მუსიკალურ საზოგადოების წევრთა, გამგეობის წევრთა ასარჩევათ და მუსიკალური განყოფილების ქუთაისში გახსნის შესახებ.

— მეოთხე რაიონის კოლექტივი ს.-დ. მუშათა პარტიისა სთხოვს თავის წევრებს და თანამგრძნობლებს აუცილებლათ დაესწრონ დღეს საღამოს 7 საათზე საერთო კრებას, რომელსაც მართავს „ვერის სახალხო გასართობთა საზოგადოება“ მე-6 სავაჟო გიმნაზიაში.

# თვითგამორკვევა ბათუმის ოლქში

გერმანიის დელეგაციის უფროსი გენ. ფონ-კრესი აუწყებს გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ ამ უკანასკნელის მიერ აღძრული პროტესტი ბათუმში მომხდარ რეფერენდუმის შესახებ. მან შეატყობინა ბერლინის მთავრობას. ეხლა გენ. ფონ-კრესი ატყობინებს ჩვენს გარეშე საქმეთა სამინისტროს გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან მიღებულ ცნობას, რომ გერმანიის ელჩი სტამბოლში მოვიდა ინსტრუქცია შეატყობინოს ოტომანის საიმპერატორო მთავრობას შემდეგი: ის ფაქტი, რომ ოტომანის მთავრობამ ბათუმში ამ წლის 14 ივლისს თვით მოაწყო პლებისციტი სხვათა მონაწილეობის მიუღებლათ, ეწინააღმდეგება ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულობის მეოთხე მუხლის დადგენილებას, რომლის ძალით წესწყობილების დამყარება სამს (ბათუმის, ყარსის და არდაგანის) ოლქში უნდა მომხდარიყო თვით ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით. ამის გამო, თუ ვინიცობაა, რომელიმე ამ სახელმწიფოთაგან განაცხადებდა პროტესტს ოტომანის მთავრობის წინაშე ამნაირ მოქმედების წინააღმდეგ, გერმანიის მთავრობას არ შეეძლო ასეთი გამოსვლა კანონიერ საფუძველს მოკლებულათ ეცნო.

(„საქ. რ.“).

# ლეჩხუმში

სამწუხაროთ, იმედი დერჩის საზოგადოებაში ლეჩხუმის საქმის ლიკვიდაციის მოხდენისა არ გამართლდა. მშვიდობიან ხალხისაგან დელეგაციის პირით მიწვეულ სულაქველიძის რაზმს ავაზაკი მორჩაძის ბანდა დაესხა და ამან საბედისწერო როლი ითამაშა, ხმები, დერჩის საზოგადოების მცხოვრებლებისაგან საერთო ლალატის შესახებ მართალი არ არის. დერჩის საზოგადოებას სურდა მშვიდობიანობა და მთავრობის მომხრეობა, მაგრამ იგი მორჩაძემ ტერორის ქვეშ დააყენა და გაბმული ძაფი პროვოკატორული ხელით გასწყვიტა. სულაქველიძის რაზმმა უკან დახევისას ხიდეების აყრის გამო ლეჩხუმში დასტოვა ერთი მძიმეთ დაჭრილი ამხ. კალანდაძე, ორი ზარბაზანი და ცხენები. სულაქველიძის საშველათ წასულ იაშვილის მცირე რაზმს ხუთი კაცი მოუკლეს. მოკლულები უკან მომავალმა სულაქველიძის რაზმმა ნახა. ისინი გულ და ყელებ გამოჭრილი, თვალებ ამოთხრილი, თავებ დამტვრეული და გაძარცული აღმოჩნდენ. მორჩაძის ხალხმა აწამა აგრეთვე სამი ლეჩხუმელი ახალგაზდა ახვლედიანები. ამათში ერთი სტუდენტი იყო, მეორე აფიცერი. არც ერთი მათგანი არავითარი მონაწილე არ იყო ლეჩხუმის უკანასკნელი ვაი ვაგლახისა. შიშველი მოკლულები ერთ კაცს ეკლესიაზე თურმე მიათრევინეს და მიწაში ჩაყარეს. დედები შვილების სატირლათ არ მიუშვეს.

ეხლა მდგომარეობა მეტად გამწვავდა. ერთის მხრივ პოლკოვნიკ ინწკირველის და მეორეს მხრივ ივკოვის რაზმები რიონის იქით აქეთ ნაპირებიდან ლეჩხუმში შევიდენ. 28 ივლისს ინწკირველმა ხომლის მთის აქეთ გორმალალის ქედი დაიკავა და თვით ხომლის ახლო მივიდა. მეორე მხრით ივკოვმა სოფ. ჩორთისა, ჭაშლეთი, ლეხიდრის თავი და ონჭეში ალო და ამ სოფლების თავზე მთებში გაჩერდა. ორივე რაზმებს დღემდე ათ კაცამდე მოუკლეს. თვით მოწინააღმდეგემ, როგორც გორმალალის დაჭერის დროს, ისე ჩორთისის ახლო ბევრი დაკარგა მოკლულები. რადგან ბრძოლა მთებში სწარმოებს, ამიტომ მშვიდობიან მცხოვრებთაგან მსხვერპლი არ არის. დახოცილები არიან ბრბოს ნამდვილი მეთაურები მეტ ნაწილათ ძველი „სტრაჟნიკები“ და „ურიადნიკები“. ბრბო ორნაირი შემადგენლობისა არის: პირველ შემადგენლობაში ზოგი ჯარისკაცებია, მათ შორის თითქმის ყველა ძველი პოლიციელები შედიან. მეორე ძალათ გამოყვანილინი ახალგაზრდებისაგან შესდგება. პირვ. შემადგენლობა მუდამ წინ სდგას და თავდავიწყებით და გაბედულათაც იბრძვის. მეორე პირველ შესაძლებლობისთანავე გარბის. გორმალალის ბანდის უფროსს, „ნასტრაჟნიკალ“ რატიანს აღმოაჩნდა საყურადღებო მიწერ-მოწერა. აქედან ირკვევა ერთი ის, რომ ბანდა თითონ უპირებდა ინწკირველს თავდასხმას, მეორე ის, რომ თითო წევრი დღეში სასყიდლათ 15 მანეთს იღებს და მესამე წერილია, რომლითაც რატიანს ატყობინებენ: გეგეჭკორი 18000 კაცით მოდის სამი მიმართულებით: ერთი ნაწილი მოდის თფილისზე, მეორე დუშეთზე და მესამე ტყიბულით. უკან მოსდევს რუსის ჯარი. ხვალ მივიღებთ ზარბაზნებს და რიველებს (ალბათ რევოლვერებს).

ქუთაისის ციხეში სხედან რამოდენიმე ლეჩხუმლები. ამათგან ერთი ბანდის წევრი—რუსიშვილი ასე ახასიათებს თავის ამხანაგებს: ძალიან კარგ დროს ვატარებდით, ცოლიკაურის (ყურძნის ჯიშია) ღვინო, ღორის ხორცი და ქათამი ბევრი გვქონდა. მე მეტი არ შემეძლო და დღეში მხოლოდ ოთხჯერ ვსჭამდი, ხოლო ვისაც მადა უვარგოდა რვაჯერ მიირთმევდა. იყო შემთხვევები, როცა ჩვენს გამოსაცვლელად საყარაულოზე სხვები მოდიოდენ, მაგრამ ჩვენ წასვლის უარს ვამბობდით, კარგი მაინძლობის დატოვება გვიძნელდაო. სასმელ-საჭმელს კონტრიბუციის სახით ვიღებდით ბეჭედ დაკრული ქაღალდებითო.

ამ ჟამად უბედურებას განიცდის დერჩის საზოგადოება. მთელი საზოგადოების გარშემო საშინელი ბრძოლაა. ზოგჯერ გლეხებს სახლებში უცვივდებიან და იქიდან ისვრიან. ამათში მთელი პროვოკაცია და უბედურება არის ჩამარხული. ოყურეშის, ზუბის, ნაკურალეშის და დეხვირის საზოგადოებები იძლევიან აჯანყებულთა თითქმის მთელ შემადგენლობას. მთავარი ხელმძღვანელები თითქმის ყველა მეგრელებია. ეს ირკვევა მიწერ-მოწერიდან, რომლებიც მოკლულებს აღმოაჩნდა. სვანები და დანარჩენი ლეჩხუმი მთავრობის მხარეზეა. რაჭაში აქამდე სიწყნარეა.

რაჭა-ლეჩხუმი ამ ჟამად მუშებისა და შედარებით შეგნებული ელემენტებისაგან დაცლილია. ზოგი მოერიდა საშინელ მწარე სურათს ძმათა შორის სისხლის ღვრისას და გაიქცა, ზოგიც ადრე წასული იყო. თფილისში მყოფ რაჭველ-ლეჩხუმელი მუშების სამღთო მოვალეობაა სამშობლოს მოეშველონ. ვისაც ლეჩხუმის ამ ბოლო ამბებში მონაწილეობა არ მიუღია მათ შეუძლიათ რაჭიდან ლეჩხუმში შესვლა და სამშვიდობო მუშაობა. ისე ყოველივე აჩვენებს, რომ ბევრი მწარე ამბების მოწამე გავხდებით ლეჩხუმის ხალხი არაფერ შუაშია. ის ილუპება ულვთოთ, უაზროთ ბოროტი ავაზაკების და გზას აცდარ თავის შვილების თავხედობის ქვეშ. ხშირია შემთხვევა, რომ ერთი მამის ორი შვილი ერთი მეორეს კლავენ. რაჭველ-ლეჩხუმელო მუშებო! მოეშველეთ სამშობლოს, თქვენი დახმარება ეპირება რაჭასაც, საითკენაც ლეჩხუმის უბედურება გველსავით მისრიალებს.

**რუბენ ყიფიანი.**

———

29 ივლისს დადგა ბოლშევიკების მიერ გამაგრებულ „გორ-მალალას“ უკანასკნელი წუთები. მარცხენა ფრთით მომდგარი გვარდიელები ჯარისკაცებთან ერთად განთიადისას შეუდგენ იერიშის მიტანას; აქ ჩვენი ჯარი დაიყო ნაწილებად, მათ შორის იყვნენ სამტრედიის რკინის გზის გვარდიელებიც, რომელთაც უფროსობდა პორუჩიკი მუჯირი. უფროსმა ეს გვარდია დაჰყო ორ „ვზვოდათ“, პირველი „ვზვოდს“ ხელმძღვანელობდა ერმილე თოდრია და კოლია ელიაშვილი, მეორე „ვზვოდს“ მაქსიმე კალაძე და ვანო ესავა, ასევე დაყოფილ იქნა სხვა გვარდიელებიც. „გორ მალალას“ ვარდ ბუჩქიან ფერდობებს მიუახლოვდა ჩვენი მხედრობა. დილის 10 საათზე „ცეპი“ უკვე შემორტყმული იყო. მუჯირის უფროსობ თ პირველად ესენი შეიჭრენ შიგ, მათ სხვებიც მიჰყვენ და ასტყდა თოფების გრიალი. ორივე მხრივ მოწინააღმდეგემ მალე დაჰკარგა ბრძოლის უნარი და უგზო-უკვლოდ გარბოდა. მათ მალე დასტოვეს ეს სიმაგრე, საიდანაც მშვიდობიან ხალხს ძილს უფრთხობდენ. მალე მიყუჩდა ტყვიის ზუზუნიც, წიფლებით დაბურუნებული ტყეგორა სიჩუმემ მოიცვა. ბრბომ დასტოვა 9 მოკლული, 3 დაჭრილი, 2 ტყვე. როცა ტყვეებს ვიჭერდით, მათ ხელები მაღლა ასწიეს და დაიძახეს: არ მოგვკლათ, ჩვენ აზნაურები ვართო. ასე დაურწმუნებიათ ჩვენს მტრებს იქაურები. ჩვენი მხრით მოკლულია მხოლოდ სამი.

ამავე დღეს „გორა-მალალას“ მარჯვენა ფრთით მოილაშქრებდა ხავთასი თავის ჯარით და გვარდიელებით. ასე რომ ბრბოსაგან ეს მიუვალი სიმაგრეები მალე გავწმინდეთ. მცხოვრებლებს მეტად უხაროდათ, რომ ისინი ვიხსენით ბოლშევიკთა ავაზაკებისგან.

**ივაკი გიორგაძე.**

# ომი და მისი შედეგები

ყველა ომს ცოტათ თუ ბევრათ საყურადღებო შედეგი თან მოსდევს.

ისტორიამ არც კი იცის ამის გამონაკლისი. რუსეთ იაპონიის ომს მოყვა 1905 წ. რევოლიუცია და რუსეთის კუდ შეკვეცილი, მარა მაინც კონსტიტუცია.

დღევანდელ მსოფლიო ომის შედეგებიც ჯერეთვე დიდი საყურადღებოა.

ამ ომის დასაწყისშივე კარლ კაუტსკი სწერდა: ამ მსოფლიო ომს დიდი და საყურადღებო შედეგები მოყვებაო.

ამ ომის შემდეგ ევროპის რუქა შესამჩნევათ შეიცვლებაო.

ბევრი დიდი სახელმწიფო გაქრება და პატარა ერი თავს წამოყოფსო და სხვა.

კაუტსკის წინასწარმეტყველება უკვე მართლდება; თუმცა ომი ჯერ არც კი გათავებულა.

ევროპის შხამიანი გველი—ნიკოლოზი აღარ არის.

ბუმბერაზი რუსეთი დაინგრა, დაიშალა, ევროპის რუქა მართლა შეიცვალა.

წარმოიდგინეთ მოულოდნელი, წარმოუდგენელ რამ მოხდა.

საერთო ქვეყნის რუქაში თავი წამოყო სამმა ახალმა, თუმცა პატარა სახელმწიფოებმა.

ადერბეჯანი—სომხეთი—საქართველოს რესპუბლიკები ჩამწკრივდენ საერთო ქვეყნის ფერხულში.

პატარა საქართველო წამოდგა, წელში გაიმართა. ხმა ამოიღო. ქვეყანა აახმაურა. მას კავკასიაში პირველი ალაგი უკავია. საქართველოს უკვე ანგარიშს უწევენ.

რა იქნება შემდეგ! რას გვიქადის კიდევ ეს მსოფლიო ომი!

ამაზე პასუხის გაცემა, ამის გამოცნობა ძნელია.

ომის დასაწყისშივე ერთი ინგლისელი მწერალი სწერდა:

ამ ომში ის გაიმარჯვებს, ვისაც მეტი ჯარი ეყოლებაო.

ვინც მეტ ცოცხალ ძალას წარმოადგენს, ვინც საბოლოოთ სამოქმედო ასპარეზზე მეტ ცოცხალ იარაღს—ადამიანთ გამოაფენსო.

მართლაც და თუ დღევანდელ ტეხნიკას გავითვალისწინებთ, რომელიც ყველა მეომარ სახელმწიფოებში თითქმის ერთ დონეზე სდგას, შეიძლება დავეთანხმოთ ხსენებულ ინგლისელს, რომ საბოლოოთ გაიმარჯვებს ის, ვინც საბოლოო ზედმეტ მილიონ ჯარს გამოიყვანს ბრძოლის ველზე. მდაბიოთ ეს ნიშნავს—სხვა სახელმწიფოებს რომ საომრად გამოსადექი ხალხი მეტი აღარ დარჩებათ, [illegible] ჯარი კიდევ შერჩა, ის გაიმარჯვებს.

ამ [illegible] ჰქონდა. ის რუსეთის მრავალრიცხოვან ჯარის კაცებზე ამყარებდა გამარჯვებას. ავსტრო-ვენგრია-გერმანია ვერ შესძლებს საკმარისი ჯარის გამოყვანას. დღეს თუ არა ხვალ მას ეს ცოცხალი იარაღი შემოელევა, შემოაკლდება. რაკი დიდი რუსეთი ჩვენსკენაა, ამ მხრით ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ. საბოლოოდ ჯარს ჩვენ გამოვიყვანთ, გამარჯვება ჩვენი იქნებაო—ასკვნიდა ინგლისელი პუბლიცისტი.

ეხლა გარემოება იცვალა.

რუსეთი ჩამოშორდა მოკავშირეებს

გერმანიას ჯარი არა თუ არ შემოაკლდა, მან ეს ჯარი ლამის მთელ ქვეყანას მოჰფინოს.

გერმანიამ საქართველოს დახმარება აღუთქვა.

აღუთქვა და კიდევაც ასრულებს დაპირებას.

გერმანიის ჯარები დაუზარებლათ მოდიან ჩვენში, მოდიან მიუხედავათ იმისა, რომ ომი ბევრ ადგილას კიდევ მძვინვარებს.

რა თქმაა რუსეთთან ომის შეწყვეტამ გერმანიას დიდძალი ცოცხალი სამხედრო იარაღი—ჯარი გაუნთავისუფლა.

ამ ნაირათ გერმანიას ამ ჟამათ თავისუფალი ჯარი არ აკლია. ის კიდევ დიდხანს შეიძლებს ომის გაგრძობას. ჯარის მხრით მას კრიზისი დიდ ხანს არ მოელის.

ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ის დღეს საქართველოში ასე უხვად ჯარსა გზავნის.

არ ვიცი რას ფიქრობს ახლა ზემოთ მოხსენებული ინგლისელი მწერალი.

ხოლო დღეს ბევრი ჩვენშიაც გაიძახის: გერმანიამ ჯარი ძრიელ დაქსაქსა. მას ხალხი არ ეყოფა გერმანიის დღენი დათვლილიაო.

არ ვიცი. ძნელი გამოსაცნობია ვისი დღენია დათვლილი. ხოლო ზემოთ ნათქვამი ამტკიცებს, რომ გერმანიას ჯარის საქმე კარგათ აქვს. რისთვის გზავნის გერმანია ასე უხვად ჩვენში ჯარებს?

სამეგობროთ, დასახმარებლათ თუ დასაპყრობათ, დასაშინებლათ, აი საკითხი რომელის პასუხი არა ერთსა და ორს ძილს უფრთხობს.

ბევრსა ჰგონია, რომ საქართველოს თავისუფალი რესპუბლიკის დღენი დათვლილია.

ვინ იცის, ვის შეუძლია გამოიცნოს რას ფიქრობს და გულში რა უდევს იმპერიალისტურ გამარჯვებულ ქვეყნის მძარცველებს.

ხოლო რამდენათ გარეშე პირობები და გარემოება გვეუბნება, გერმანიისთვის ბევრათ უფრო სასარგებლო და გამო-

# რუსეთის ცხოვრება

**საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოხსენება.**

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა საბჭოთა მეხუთე ყრილობაზე, რომელიც წარსულ ივლისში დასრულდა, მოხსენება გააკეთა რუსეთის ახლანდელ მდგომარეობის შესახებ.

მისი ვრცელი მოხსენებიდან ადამიანს შეუძლია ნათელი წარმოდგენა იქონიოს რუსეთის როგორც საგარეო, ისე საშინაო მდგომარეობაზე. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ ხსენებული მოხსენებიდან მოვიყვანოთ ზოგიერთი საყურადღებო ადგილები.

**მსოფლიო რევოლიუცია.**

1917 წლის ბოლოს და 1918 წლის დასაწყის რუსეთის საგარეო პოლიტიკის სფეროში დამახასიათებელია რევოლიუციონური შეტევა. რუსეთის რევოლიუცია ამ ხანებში მსოფლიო რევოლიუციის მოლოდინში იყო, რომლისთვისაც რუსეთის რევოლიუცია უნდა ყოფილიყო სიგნალი. მთელი ძალ ღონე მიმართული იყო იქითკენ, რომ მსოფლიოს პროლეტარიატისთვის აღეძრა ბრძოლის წყურვილი, გამოეყვანა ბრძოლის ველზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთის რევოლიუციას საჩქაროთ მხარი არ დაუჭირა სხვა ქვეყნის პროლეტარიატმა, გერმანია-ავსტრო-უნგრ. იმპერიალ. დაამარცხა რევოლიუც. რუსეთი, ამ სახელმწიფოთა ჯარებმა დაიკავეს ფინლიანდია, უკრაინა, ბალტიის მხარეები, პოლონეთი, ლიტვა, ბელორუსია და სხ. ამის შემდეგ საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკა ძირ-ბუდიანათ შეიცვალა. უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში რუსეთის რევოლიუციას მიზნათ ჰქონდა დასახული საქმის გაჭიანურება, რომ ამით დრო მოეგო, რათა ხელი შეეწყო და დაეცადა, ვიდრე სხვა ქვეყნებში მომწიფდებოდა პროლეტარული მოძრაობა და ამავე დროს რუსეთის მცხოვრებ ერებში მაგრათ გაედგა ფესვები საბჭოთა მთავრობას. ვინაიდან რუსეთს არ მოეპოვებოდა საკმარისი სამხედრო ძალა ქვეყნის დასაცავათ, საგარეო პოლიტიკაში მას მუდამ იმაზე უნდა ეფიქრნა, რომ ყოველგვარ საშიშროებისაგან განზე მდგარიყო, რაიც მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე დალუპვით ემუქრებოდა. დასავლეთ ფრონტზე გიცხარებული ბრძოლა არც ერთ კოალიციას ნებას არ აძლევდა რუსეთს გასანადგურებლად თავს დასხმოდა. ორივე მეომარი კოალიციის იმპერიალისტური წრეები ამ ჟამად იმის ფიქრში არიან, თუ როგორ ისარგებლონ რუსეთით ომის შემდეგ ეკონომიურის მხრით. რუსეთის სრულიად განადგურების ნაცვლად ორივე კოალიციის ეს ელემენტები მოსურნე არიან, რომ რუსეთის მიმართ აწარმოვონ სხვადასხვა კონცესიების, ეკონომიური შეძენის და სხ. ამ გვარი პოლიტიკის შესახებ ურთიერთ შორის ვაჭრობა—მოლაპარაკება. სამხედრო ელემენტები ამავე კოალიციებისა იმაზედაც კი ფიქრობენ, რომ ამ ომში გამოიყენონ რუსეთის სამხედრო ძალა. ორივე კოალიციაში მოიპოვებიან ისეთი მიმდინარეობანი, რომელნიც რუსეთზე შეტევას ქადაგობენ, რათა ჩაეხრჩონ საბჭოთა მთავრობა, მაგრამ ამავე დროს მოიპოვებიან ამ მიმდინარეობათა ხელის შემშლელი ელემენტები. ამიტომ საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა აწარმოვოს გაჭიანურების გაძრომ გამოძრომის (лавировать) პოლიტიკა, ვინაიდან ამ მთავრობას მიზნათ არ აქვს დასახული სამხედრო რევანში და სწამდა რა რომ სოციალური ხასიათის ცვლილებანი, ომის მიერ გამოწვეული, შექმნის ერთა შორის ახალ ურთიერთობას, იძულებული იყო წასულიყო დათმობის გზაზე იარაღით მუქარის გამო ბრესტის შემდეგაც. ამასთან ერთად, ჩვენ მხედველობაში გვქონდა იმ ელემენტთა მუშაობა, რომლებიც სამხედრო წრეებს ეწინააღმდეგებიან სხვა ქვეყნებში. მაგრამ ეს ელემენტები ყველგან სუსტნი არიან. ყველგან აღმოცენებული პროლეტარული მოძრაობა ჯერ კიდევ არ მისულა იმ ზომამდე, რომ უკანასკნელად იქნას გაწყვეტილი კავშირი იმპერიალიზმთან. ამიტომ ანგარიშის მიცემა იმ ხანაში გვიხდება, როცა უკან ვიხედავთ, როცა აუარებელი მსხვერპლი მიგვაქვს სამსხვერპლოზე და ყველა ეს იმ მოსაზრებით ხდება, რომ რუსეთი მოვასვენოთ, მოვიკრიბოთ საკუთარი ძალა და ველოდოთ იმ დროს, როცა სხვა ქვეყნების პროლეტარიატი დაგვეხმარება დავამთავროთ ოქტომბერში ჩვენ მიერ დაწყებული სოციალისტური რევოლიუცია.

**ბრესტის ხელშეკრულების პირველი ხანა.**

ბრესტის ხელშეკრულების პირველი ხანა იმით არის დამახასიათებელი, რომ დასავლეთ ფრონტზე შემოტევა გერმანიას არ შეუჩერებია, არ გვქონია დაწესებული სადემარკაციო ხაზი. ფინლიანდია და უკრაინა გაწმენდილ იქნენ იმ ხანებში საბჭოთა ჯარებისაგან, მაგრამ სასოწარკვეთილი ხალხის მასსა ამ მხარეებში განაგრძობდა თავგამოდებულ ომს. მუდმივ ურთიერთ შორის მშვიდობიანობის დამყარების ხანად საშუალო ევროპის სახელმწიფოებთან ითვლება გრაფი მირბახის მოსვლა მოსკოვში 23 აპრილს და რუსეთის წარმომადგენლის იოფფესი ბერლინში 20 აპრილს. ჩვენი მოკავშირეთა ჩვენს წინააღმდეგ გამოსვლის პირველ ნაბიჯათ ჩაითვლება იაპონიის მიერ ვლადივოსტოკში ჯარების გადმოსხმა 5 აპრილს, მაგრამ საერთოდ მოკავშირე სახელმწიფოები რუსეთისადმი ფრთხილ პოლიტიკას აწარმოებდენ, ყველაზე უფრო კარგათ ექცეოდა რუსეთს ამერიკის შეერთებული შტატები. შემდეგ დადგა კრიტიკული ხანა გერმანიის მიმართ, როცა მისმა ჯარებმა დაიკავა რა ფინლიანდიის და უკრაინის ტერიტორიები, ფეხი გადმოდგა საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე, სადაც გერმანიის ჯარებს შეტაკება მოუხდა საბჭოს ჯარებთან. ამ დროს საშიშარ მდგომარეობაში იყო პეტროგრადი, თეთრგვარდიელები მოიწევდენ მურმანის მხარეში. გერმანიის ჯარები იმ ხანებში უკრაინას იკავებდენ და შემოდიოდენ კურსკის, ვორონეჟის გუბერნიებში და დონის ოლქში. მათი მფარველობით კონტ-რევოლიუციონური ბრბოები ჩნდებიან დონის და ყუბანის ოლქებში. გერმანელთა ჯარებმა დაიკავეს აგრეთვე ყირიმი: როსტოვის აღების შემდეგ ეს ჯარები გადავიდენ მდ. დონზე და იერიშით მივიდენ სად. ბატაისკზე. ამ დროს გერმანიამ დესანტი გადასხა ფოთში, ოსმალთა ჯარები კი მიიწევენ კავკასიაში ბაქოსაკენ. მოხდა შეთანხმება რუსეთისა და გერმანიის მთავრობებს შორის ფინლიანდია რუსეთის შერიგების შესახებ. უკრაინასა და რუსეთს შორის უთანხმოებას და სამხედრო მოქმედებას ბოლო მოუღო კიევში დაწყებულმა საზავო მოლაპარაკებამ. მაისში ჩვენი საგარეო პოლიტიკის გამწვავება დასრულდა ფლოტის ერთი ნაწილის ნოვოროსიიდან სევასტოპოლში დაბრუნებით. ამ ჟამად ყველაზე უფრო საყურადღებო საკითხად ჩაითვლება, რაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს, კავკასიის საკითხი. არ არის საქმე კარგათ დონის ოლქში, სადაც კონტრ-რევოლიუციონური ბრბოები მოქმედებენ. ფლოტის სევასტოპოლში დაბრუნებამ შესაძლოთ გახადა ბერლინში შერეული კომისიის მუშაობის დაწყება. საფინანსო უფლებათა კომისიამ უნდა შესაძლებელი გახადოს რუსეთისა და გერმანიის მშვიდობიანი ეკონომიური განვითარება, მერეს—პოლიტიკურ კომისიას მინდობილი აქვს ბრესტის შემდეგ წამოყენებულ საკითხების მოგვარება. ჩვენი ყოფილი მოკავშირეების ჩვენდამი მომართულ უარყოფით მხარეთ უნდა ჩაითვალოს ჩეხ-სლოვაკთა აჯანყება. შეთანხმების სახელმწიფონი ამათ მხარეზე არიან. ეს ძალები კი კონტრ-რევოლიუციის დასაყრდნობი ძალა გახდა. ჩეხო სლოვაკების ჯაიყებას მოყვა ინგლისელების მიერ მურმანზე დესანტის გადმოსხმა. ამ სახელმწიფოებში (ინგლისში და საფრანგეთში) კიდევ არ დაუყრიათ იარაღი რუსეთის წინააღმდეგ.

**ბრესტის ხელშეკრულობა.**

რუსეთის ურთიერთობა და დამოკიდებულება შუაგულ ევროპის სახელმწიფოებთან განისაზღვრებოდა ბრესტის ხელშეკრულობით და მთავარი შინაარსი რუსეთის პოლიტიკისა გერმანიის მიმართ გამოიხატებოდა ამ ხელშეკრულობის ცხოვრებაში გატარებაში. ბრესტის ხელშეკრულობაში გარკვევით არაა აღნიშნული საზღვრები გერმანელთა ოკუპაციისა. მისი მნიშვნელობა უმთავრესად გამოიხატებოდა იმაში, რომ ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ გერმანელთა მსვლელობა შუაგულ რუსეთისაკენ უნდა შეჩერებულიყო. ეს აქტი ღიად სტოვებს კითხვას, თუ რა მდგომარეობაში იქნება ოლქები, რომლებიც გერმანელთ უკვე ეკავათ. აგრეთვე არ იყო გამორკვეული უკრაინის საზღვრები და სწორედ კითხვა უკრაინის საზღვრების შესახებ, რომელსაც გადაეხლართა გერმანელთა შემოტევის საკითხი, ყველაზე საშიში იყო რუსეთისთვის. ამიტომ ყოველგვარი ბუნდოვანობა—თუნდა რუსეთის გემთა შესახებ—უფრო მეტ საბაბს აძლევდა გერმანეთს, რომ მას ახალი მოთხოვნილებანი წამოეყენებია. ამას გარდა ფიქციური თვითგამორკვევათა გზით ყოველთვის შეიძლებოდა ხელშეკრულების გადალახვა და მის დადგენილებათა გაბათილება. ამ მხრით ყველაზე ადვილი იყო მიმხრობა იმ ადგილების, საცა ოკუპაცია იყო მოხდენილი. და მართლაც, მალე მოვიდა ცნობა, რომ დვინსკი თვითგამოერკვა და სურს შეუერთდეს ლიფლიანდიას, რომ ბელორუსთა დელეგაციამ ითხოვა რუსეთის გავლენისაგან განთავისუფლება და სხვ. მე-3 მუხლის თანახმად სპეციალურ კომისიას უნდა გამოერკვია ადგილობრივ საზღვრები იმ ოლქებისა, რომლებიც შორდებოდა რუსეთს და ოკუპაციის ძალით გერმანიისკენ გადადიოდა, მაგრამ შეიკრიბა რა ეს კომისია ქ. ფსკოვში ერთხელ, მერე აღარ ღირსებია მუშაობის გაგრძელება და ეს კითხვაც, როგორც პრინციპიალური, ორივე მთავრობათა დასტურით გადატანილ იქნა ბერლინში, პოლიტიკურ კომისიაში. ეს კია, რომ ფსკოვის პირველ სხდომაზედვე გამოირკვა სურვილი გერმანელთა, რომ ამ კითხვას—შემოერთებულ ოლქებისას—პრინციპათ დასდებოდა პრინციპი მცხოვრებთა თვითგამორკვევისა. ხელშეკრულობის ძალით აგრეთვე სრულიად გამოურკვეველი რჩებოდა გადასული ოლქების შინაური მდგომარეობა, ბოლოს ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ რუსეთმა მთლად უარჰყო ყოველგვარი პასუხისმგებლობა გადასული ოლქების შინაურ მდგომარეობაზე და იქ დამყარებულ წესწყობილებაზე.

**დამოკიდებულება ფინლიანდიასთან.**

სამხედრო შეტევა გერმანელთა რუსეთზე იმის შემდეგ, როცა ბრესტის ხელშეკრულება უკვე დადებული იყო, ორის გზით სწარმოებდა: ფინლიანდიით და უკრაინით. ხელშეკრულობის ძალით რუსეთმა გაიყვანა ჯარი ფინლიანდიიდან და იქაურ ამბებზე ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოიხსნა. ამის და მიუხედავად მიღებულ იქნა გერმანელთა მუქარის ნოტები შესახებ იმისა, ვითომ რუსეთის ჯარი ეხმარებოდეს და ფინლიანდიის საქმეებში ერეოდეს. ნამდვილად კი ეს ნოტები იმის წინამორბედი იყო, რომ გერმანელთ თავის შეტევა უფრო საბუთიანად ეწარმოებიათ და კითხვის გადაჭრა გაეჭიანურებინათ. ამ ნიადაგზევე აღმოცენდა ფინლიანდიის თეთრ გვარდიელთა მთავრობის პრეტენზიები, როცა მან ალანდიის კუნძულებზე დააკავა მოქალაქენი კამენევი, სავიცკი და ვოლფი. გერმანეთის მთავრობა მიუთითებდა იმაზე, რომ ბრესტის ხელშეკრულობის ძალით რუსეთს ზავი უნდა ჩამოეგდო ფინლიანდიასთან, რუსეთიც ბევრჯელ თანახმა იყო ამაზე, მაგრამ მაინც ვერ ხერხდებოდა. მეტადრე დამოკიდებულება ფინლიანდიასთან მაშინ გამწვავდა, როცა გერმანელ-ფინთა ჯარები რუსეთის საზღვარს მოადგა ბელოოსტროვთან და როდესაც გერმანეთმა უთითებდა რა რუსეთს ინგლისის ჯართა მოქმედებაზე მურმანში, მოულოდნელად მოითხოვა ფორტ ინოს გადაცემა ფინთათვის, ამ უკანასკნელთა მოთხოვნის შემდეგ. ეს ამბავი სწორედ იმ დროს მოხდა, როცა ვორონეჟის და კურსკის გუბერნიებში გერმანელ ჯართა მოძრაობა სწარმოებდა. მაშინვე გაგზავნილ იქნა ნოტები, რასაც შედეგათ მოჰყვა ფორტ ინოზე კომპრომისული გზით მორიგება და ფინლ. გადაცემა მურმანის მხრის დასავლეთ ნაწილისა.

**ბალტიის მხარე და პოლონეთი.**

ესტლიანდიის და ლიფლიანდიის ჩრდილოეთ ნაწილის რუსეთიდან ჩამოშორება არ იყო გამოწვეული ბრესტის ხელშეკრულებით. ჯერ კიდევ იანვარში ამ მხარის სააზნაურო და საეროზო თვითმართველობებმა მისცეს რუსეთის წარმომადგენელს სტოკჰოლმში განცხადება, რომ იმათი მხარე აცხადებს თავის დამოუკიდებლობას. ამის შემდეგ რიგას და რეველში მოხდა ამავე დაწესებულებათა ყრილობანი, საცა იგივე დადგენილება იყო გამოტანილი ე. ი. ცხადდებოდა ლიფლიანდიის და ესტლიანდიის დამოუკიდებლობა, რაც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით ეცნობა იოფფეს ბერლინში. იოფფემ ამის შესახებ გერმანეთის მთავრობას განუცხადა, რომ ბალტიის მხარეში ამ აქტის ინიციატორნი მცირე რიცხვს შეადგენენ მცხოვრებთა, რომ საჭირო იქნებოდა ამ კითხვის საბოლოო გამორკვევად თავისუფალი რეფერენდუმის მოხდენა იქ.

პოლონეთთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის მთავრობის წინაშე პირველად

...ია აქ შორს პატარა თავისუფალი საქართველო დამოუკიდებელი და ...დ მძლავრი, ვინემ დამონებული ..., თუმცა ეს პატარაც და დაქსა... იყვეს.

...გარემოებას უსათუოთ უწევ ენ გერ... დიპლომატები ანგარიშს, ამიტომ ...ვონია, საქართველოს დამოუკი...ობას ამ მხრით დიდი რამ განსაც... არ მოელის.

...მოელის განსაცდელი ერთი პირო... თუ რომ ჩვენ ხელს გულზე არ და...ებთ.

...რომ ჩვენ ამ ახალგაზრდა ნორჩ ...თველოს რესპუბლიკას შიგნითაც ...რეთაც გავამაგრებთ. თუ რომ ჩვენ ...ერ ანარხია სპეკულიაციას ბოლოს ...ებთ.

...ტომ ვისაც საქართველოს რესპუბ...ს დამოუკიდებლობა, ვისაც ჩვენი ...კრატიის აყვავება გაზრდა, გალო...ება უნდა, ვისაც საქართველოსთვის ...ლი მომავალი სურს—მან უნდა ჩვენ ...ს სოციალისტურ მთავრობას მხარი ...როს და ყოველგვარი დახმარება ...უჩინოს.

...პირობებში გამარჯვება, მომავალი ...ია.

ს. დოლიძე.

# რაჭველ-ლეჩხუმელთა შორის

...აგვისტოს რაჭა ლეჩხუმის დამხმარე ...იტეტის ინიციატორობით შესდგა ...ლისში მცხოვრებ რაჭველებისა და ...ხუმელების საზოგადო კრება.

...რების მთავარ დანიშნულებას შეად...და მოესმინა და განეხილა მოხსენება ...-ლეჩხუმში არსებულ მდგომარეობის, ...-ლეჩხუმის დამხ. კომიტეტის წარ... მუშაობისა და ამ კომიტეტის სა...რო რეორგანიზაციის შესახებ.

...ველა ამ კითხვებზე ვრცელი მოხსე...ბა გააკეთა რაჭა ლეჩხუმის დამხ. კო...ტეტის თავმჯდომარე ზ. ბიჭაშვილმა. ...ხსენების შესახებ აზრთა გაცვლა-გა...ცვლის შემდეგ პირველი ორი ნა...ლი მოხსენებისა კრებამ მიიღო ...ობათ. რაც შეეხება მოხსენე...ს მესამე ნაწილს, (კომიტეტის ...ორგანიზაცია) ამ შესახებ კრებამ ...იღო რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა ...ხსენება კომიტეტის აუცილებელ რეორ...განიზაციის შესახებ, საჭიროთ მიგვაჩნია ...რჩეულ იქნას კომისია, რომელიც იხელ...მძღვანელებს პრინციპიალურათ მომხსე...ნებლის მიერ წამოყენებულ დებულებ...ით, განიხილავს მას მუხლობრივ და ...იტანს რა საჭირო შესწორებებს, წა...უდგენს მას დასამტკიცებლად იმ მო...ვალ საზოგადო კრებას, რომლის მო...წვევაც თვით ამ კომისიას დაევალება“. ამის შემდეგ კრებამ აირჩია კომისია ...მდეგი პირებისაგან: დ. ლომთაძე, ვ. კანდელაკი, დ. დვალი, გ. კიკვიძე, მ. ნატმელაძე, ვ. კირვალიძე, ე. დვალი, იაკ. სირაძე და ვ. ჯაფარიძე.

მათ კანდიდატებათ: შ. ჯაფარიძე, აკ. გოცირიძე, შ. ახვლედიანი და გ. კილასონია. ყველა ამათ კრება ავალებს მოკლე ხანში გამოიმუშაონ მცოდნე პირების დახმარებით მომავალ საზოგადოებისათვის სათანადო წესდება და წარუდგინონ ის ახლო მომავალში მოწვეულ საზოგადო კრებას განსახილველათ და დასამტკიცებლად.

რაჭა ლეჩხუმის დამხ. კომიტეტის შემადგენლობა ამ უკანასკნელ დროს თვით მის უმრავლესობასაც აღარ აკმაყოფილებდა. მიუხედავათ ამისა, მისი მუშაობა მაინც დიდ სასარგებლოთ, ნაყოფიერათ უნდა ჩაითვალოს.

მომავალი „რაჭა ლეჩხუმის დამხმარე საზოგადოება“, რომელიც ისეთ ფართო მიზანს ისახავს, როგორიცაა ამ ორ მაზრაში ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მოწყობა, იმედია ყველა დაბრკოლებებს თავს დააღწევს და მის გარშემო შემოკრბება ყველა ის მცოდნე და ენერგიული პირები, ვინც კი დაინტერესებულია დემოკრატიის კეთილდღეობაში.

მოუხვენარი.

# კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა

თფილისის მ. და ჯ. კ. დეპუტატების საბჭოსთან არსებულ კულტურულ-განმანათლებელ კომისიამ დაარსა სახალხო უნივერსიტეტი. პროლეტარიატი სიხარულით შეეგება ამ დღეს.

უნივერსიტეტის ცენტრალურმა განყოფილებამ მოაწყო სისტემატიური მეცადინეობა და ლექციები მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, როგორიც არის მაგ. პოლიტიკური ეკონომია, ბუნების მეტყველება, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიოლოგია, სოციოლოგია, ფილოსოფია მედიცინა,—ჰიგიენა და სხვ.

სახალხო უნივერსიტეტში დაარსდა სხვადასხვა წრეები, რომლებმაც მიზნად დაისახეს წევრებში თვითმოქმედების განვითარება. მაგალითისთვის საკმარისია მოვიყვანოთ მარქსისტული წრის მოღვაწეობა. უნივერსიტეტის ცენტრალურმა განყოფილებამ თფილისშივე დაარსა სხვა განყოფილებაც. განყოფილება დაარსდა ნაძალადევში, სადაც იკითხება ლექციები რუსულ და ქართულ ენებზე. ამ ბოლო დროს იქ გაიხსნა მუშათა კლუბი; მოეწყო სინემატოგრაფი. ყველა ეს უმთავრესად შედეგია ადგილობრივ კულტურულ-განმანათლებელ კომისიის ენერგიულ მუშაობისა.

ამას გარდა თფილისის უნივერსიტეტის განყოფილება დაარსებულია მუშტაიდში და ავლაბარში.

ამ ჟამად მორიგ მიზანს თფილისის სასალახო უნივერსიტეტისა შეადგენს ვერაზე სახალხო უნივერსიტეტის და მუშათა კლუბის დაარსება. იქ არსებობს ყველა პირობები იმისთვის, რომ კულტურული მუშაობა ნაყოფიერად წარმოებდეს. ამ საკითხის შესახებ უკვე ჰქონდათ მსჯელობა სახალხო უნივერსიტეტის წარმომდგენლებს და ადგილობრივ კულტურულ-განმანათლებელ კომისიის წევრებს. გადაწყდა 11 აგვისტოსთვის ვერაზედ საზოგადო კრების მოწვევა, რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენება: პროლეტარიატს შორის კულტურულ მუშაობის შესახებ. და განხილული იქნება ყველა ის საკითხები, რომელსაც კავშირი აქვთ უნივერსიტეტის დაარსებასთან. ასეთი მიზნის სისრულეში მოყვანა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ადგილობრივი დემოკრატიული ძალები ამ მხრივ ენერგიულად იმუშავებენ. ამ რიგათ თფილისში პროლეტარიატის ერთი სანატრელი იდეალი —სახალხო განათლება—რეალურ განხორციელებას ჰპოვებს.

თფილისი იქნება სული და გული ამ ახლად დაწყებულ კულტურულ მოძრაობისა. მაგრამ საჭიროა აგრეთვე კულტურულ განმანათლებელ მუშაობის პროვინციებში და სოფლებში გადატანა, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება. საჭიროა სოფლის მუშების კულტურული ამაღლება.

ამ მიზნით განზრახულია საქართველოს ყველა პროვინციალურ ქალაქებში. მოძრავი სახალხო უნივერსიტეტების დაარსება. ამისათვის აუცილებელია სამი რამ: 1) მთავრობის მიერ ფინანსიური დახმარების აღმოჩენა, 2) დემოკრატიის თვითმოქმედება, 3) ინტელიგენციის გულმოდგინე მუშაობა ხალხში ცოდნის შესატანად.

ამ რიგად ზემოდ ჩამოთვლილ სამი მიზეზის შეერთება გზას გაუკაფავს ჩვენში სახალხო განათლებას და მთელი ერის აღორძინებას.

ერ. თალაკვაძე.

# სახალხო მასწავლებელთა კურსები

როგორც გაზეთებში იყო აღნიშნული, პირველ აგვისტოს თფილისში გაიხსნა თფილისისა და დუშეთის მაზრების სახალხო მასწავლებელთა კურსები. კურსებზე მოსალოდნელზე მეტი მსმენელები ჩაეწერილან. კურსები გახსნა ბ. შიუკაშვილმა, რომელმაც სიტყვით მიმართა მსმენელებს, მიუთითა მასწავლებლებს მათ მოვალეობაზე და აღნიშნა ნამდვილი მასწავლებლის მნიშვნელობა საქართველოს ნორჩ რესპუბლიკისათვის.

2 აგვისტოს შესდგა მსმენელთა კრება; კრების მიზანი იყო კომისიის არჩევა. კომისიის მნიშვნელობასა და მის აუცილებლობაზე მოხსენება გააკეთა კრების თავმჯდომარემ აკ. გრიგოლავამ. კრებამ ფარული კენჭის ყრით აირჩია ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც ტეხნიკური ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს კურსების არსებობას. კომისიაში არჩეულ იქნენ 1) აკ. გრიგოლავა, 2) ვერა ბურჯანიძე, 3) პლატონ გამზარდია, 4) ლავრენტი ბარნაბიშვილი და 5) აკაკი ლეჟავა.

კომისია მოუწოდებს კურს გარეთ დარჩენილ ამხანაგებს, ვისაც სურვილი აქვს, რომ იქნეს ნამდვილი მასწავლებელი და აღმზრდელი ჩვენი ნორჩი დემოკრატიული ქვეყნის მოზარდი თაობისა დაუყონებლივ ჩაეწერონ კურსებზე. ჩაწერა შეიძლება პირველ გიმნაზიაში კურსების მომწყობ ბ. შიუკაშვილთან 9—12 საათამდე.

კომისიის მდივანი პ. გამზარდია.

# ვანო ჟღენტის ხსოვნას

ჩვენ მებრძოლ რაზმებს გამოაკლდა კიდევ ერთი მეტად სპეტაკი და დაუღალავი მომუშავე, ჯერ კიდევ ჯან ღონით სავსე ახალგაზრდა ვანო ლუკას ძე ჟღენტი.

20 წლის ვაჟკაცის დაკარგვა, რომელსაც ნამდვილი ცხოვრება ჯერ კიდევ მომავალში ჰქონდა, მეტად დამაღონებელია ყველასთვის და მეტადრე მის ახლობელ პარტიულ ამხანაგებისთვის.

ვანო იმ თავითვე, ჯერ კიდევ რეაქციის დროს 1908 წლიდან, ჩაება საერთო მუშაობაში და თავისი უმანკო ძალღონე ხალხის განთავისუფლებას შეალია. ამ რევოლუციის დროს მისმა ნორჩმა დემოკრატიულმა სულმა უფრო მეტად გაშალა ფრთები და ახალგაზრდაც მიეცა თავისუფლების საქმისთვის სამსახურს. იგი სხვადასხვა ორგანიზაციებში მუშაობდა დაუღალავად და უანგაროდ, აგრეთვე თანამშრომლობდა ჩვენ პარტიულ გაზეთებში ი. ქოროშასპირელის ფსევდონიმით.

მშვიდობით ამხანაგო! შენი დაუღალავი და გულწრფელი მუშაობა თავდები იქნება იმისა, რომ შენი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება შენ ამხანაგებში.

ს. ქრისტინეშვილი.

# კახეთის რკინის გზის გარშემო

„ერთობის“ 158 ე ნომერში მოთავსებულია წერილი ვლ. ბ—ძესი, რომელიც აღნიშნავს კახეთის რკინის გზაზე მომხდარ უწესობას თფილისისა და სიღნაღის მაზრებში. უმთავრეს ბრალდებულებათ გამოყავს მილიციონერები, რომელთაც მძარცველებს ეძახის. არას ვიტყვი თფილისის მაზრის მილიციონერების შესახებ, რადგანაც ის ჩემს რაიონში არ არის. მე მხედველობაში მაქვს წერილის ის ადგილი, სადაც მუკუზნის ინციდენტია მოყვანილი. ავტორი წერილისა ამბობს: 24 ივლისს მუკუზნის სადგურზე მატარებელ ნომერ 4 ს გარს შემოერტყა ველისციხის კომისარი 50 მთვრალი მილიციონერით და მატარებლის დამცველი რაზმის დახოცვა და იარაღის აყრა მოინდომა, მთავრობას ცუდათ იხსენიებდა და მატარებელმა ძლივს მოახერხა მგზავრობის შემწეობით თავი დაეღწია მათის ხელიდანო და სხვა.

კორესპონდენტის წმინდა მოვალეობაა ფაქტი სინამდვილით გაამუქოს, რომ არც მკითხველი საზოგადოება შეიყვანოს შეცდომაში და მით უფრო რედაქცია. ეს მით უმეტეს საჭიროა დღევანდელ პოლიტიკურ მომენტში, როდესაც ყოველივე წვრიმალ მომხდარ ფაქტს საზოგადოებრივი მნიშვნელობა ეძლევა და შეუძლია დიდი გაუგებრობა დაბადოს ხალხის მასაში.

ფაქტი მუკუზნის ინციდენტისა, რამდენადაც ეს წინასწარმა სასწრაფო გამოძიებამ დაარწმუნა კომისარიატი მაზრისა, შემდეგშია:

არსად რკინის გზაზე იმდენ უბედურებასა და უწესობას ადგილი არა ჰქონია, როგორც ეს კახეთის რკინის გზაზე ხდება. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ და ფაქტებიც უტყუარი იმას ღაღადებს, რომ ამ უწესობას ნებსით თუ უნებლიეთ ხელს უწყობს ზოგიერთი პირი რკინის გზის ადმინისტრაციისა და თვით დამცველი რაზმისაც. ამ გარემოებამ აიძულა სამაზრო კომისარიატი ერთ გვარი განკარგულება გამოეცა თავის მაზრაში, რომ ყოველივე ბოროტ-მოქმედებას ადგილი არა ქონებოდა და არ დარღვეულიყო წესიერი მიმდინარეობა. ამ მიზნით 24 ივლისს მფრინავი რაზმის უფროსი ალ. ყალაბეგაშვილი 5 მილიციონერით სადგურის მახლობლად იყო. ამ დროს მატარებლიდან გადმოდის „ოხრანის“ უფროსი მგალობლიშვილი და ეუბნება: ვინ მოგცა ნება, რომ რკინის გზის საქმეში ერევით, არ ემორჩილებით უმაღლესი მთავრობის განკარგულებასო. მგალობლიშვილი უდიერად შეეხო ადგილობრივ კომისარიატს მაზრისას და მოინდომა იარაღის აყრა მილიციონერებისათვის, რისთვისაც რევოლვერი ამოიღო, მაგრამ მფრინავი რაზმის უფროსს დაესწრო და რევოლვერი ძირს დაშვებული დარჩენოდა. ამის დანახვაზე დამცველ რაზმს თოფები მიეშვირა მილიციის უფროსისათვის, რამაც 5 მილიციონერის მხრით გამოიწვია ალყას შემორტყმა და დატუსაღება მგალობლიშვილისა. როდესაც დამცველმა რაზმმა დაინახა, რომ ძალით მას ვერ გაანთავისუფლებდა, მაშინ მიმართეს შემდეგ საშუალებას: მიმართეს მემანქანეს და უბრძანეს, მატარებელი ადგილიდან არ დასძრა, ვიდრე მგალობლიშვილს არ გაანთავისუფლებენო. დაინახა რა ასეთი მდგომარეობა ალ. ყალაბეგაშვილმა ჯერ კიდევ მეორე ზარი არ დაეკრათ სადგურზე, რომ მგალობლიშვილი გაანთავისუფლა და საშუალება მისცა მატარებელს თავის დროზე წასულიყო.

შეადაროს მკითხველმა ეს ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე ცნობა და თვითვე გამოარკვიოს სინამდვილე. გურჯაანის რაიონში კომისარიატს ჰყავს მხოლოდ 20 მილიციონერი სხვადასხვა ადგილას და როგორ გაჩნდა 50 მილიციონერი 5 მაგიერ არ ვიცით.

ახლა ვილაპარაკოთ ფაქტები: იცის დამცველმა რაზმმა, ან რკინის გზის ადმინისტრაციამ, რომ წნორის სადგურზე შუადამისას მიმალული ნაპარევი საქონელი ლეკებისა და ორი ქურდი ვაგონიდან გამოვიყვანეთ ივლისის შუა რიცხვებში?

იცის თუ არა დამცველმა რაზმმა და ადმინისტრაციამ გზისამ, რომ ამავე რიცხვებში ნავთლუღის სადგურის მოშორებით რამოდენიმე ვერსზე მატარებელი გააჩერეს და ვაგონებიდან „მეშოკები“ და ღვინის ბოჭკები გადმოყარეს და იქვე საგანგებოთ დამზადებულ ფურგონებზე დაუდვეს და წაიღეს? იცის თუ არა რკინის გზის ადმინისტრაციამ, რომ საფოსტო ვაგონი და რაზმისთვის მიჩნეული ვაგონი სავსეა ყოველ დღე უფულო ბაგაჟით და ზარალი აქვს რკინის გზას?

იცის თუ არა ადმინისტრაციამ, რომ კახეთის რკინის გზის კასას რამდენიმე ათასი მანეთი ზარალი აქვს უფასო ბაგაჟის მიღებით და დამცველი რაზმი რკინის გზისა მხოლოდ იმისთვის არ გვიბობს, რომ ორგანიზაციულად მოაწყოს სპეკულიანტების მიერ შეძენილი სანოვაგის გადმოზიდვა?

ვერ ჩამოვთვლით ყოველივე იმას, რასაც ადგილი იქვს ამ გზაზე. და მაზრის ადმინისტრაცია რომ კრიჭაში უდგია და ფართოდ ვერა სარგებლობენ ზოგიერთა მოხელეები—ესაა უმთავრესი მიზეზი მათის იერიშისა.

სიღნაღის მაზრაში ჩვენ უკვე შემჩნეული გვყავს რამდენიმე მოხელე, რომელთა შესახებაც ჯეროვანი საჩივარია აღძრული მათის უკანონო მოქმედებისათვის.

ჩვენ სრულებით არა გვაქვს სურვილი რკინის გზის შინაურ საქმეში ჩარევის, მაგრამ როცა ამა თუ იმ პირის მოქმედება მის საზარალოდ იქნება ცნობილი, ნურას უკაცრავად თუ ამას ანგარიში გავუწიოთ და დავიცვათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესები. ამას გვავალებს ჩვენ სახელმწიფოებრივი და მოქალაქეობრივი მოვალეობა.

აღადგინეთ, ბატონებო, წესიერება თქვენის ძალით, ნუ მისცემთ სპეკულიანტებს საშუალებას მუქთად ისარგებლონ გადატან-გადმოტანით, ნუ შეუწყობთ ხელს ნაპარავი საქონლის გაზიდვას, ნუ ლებულობთ ბაგაჟს ღამით და ჩვენ გარდა მგზავრობისა სულ არ გავეკარებით რკინის გზას.

დასასრულ: მარტო ერთმა ფაქტმა, რომ მოპარული საქონელი აღმოვაჩინეთ ვაგონში ისეთი აღელვება გამოიწვია ხალხში, რომ სადგურის განადგურება უნდოდათ. კიდევ კარგი, რომ სამაზრო ადმინისტრაციას ჯერ კიდევ დიდი ნდობა აქვს ხალხში და მღელვარება შეჩერებულ იქნა თავის დროზე. რომ რაიმე დატრიალებულიყო, განა ეს ანარქიის ხელის შეწყობა არ იქნებოდა?

მაზრის კომისარი პ. გელაშვილი.

# ს.-დ. საექიმო-სასანიტარო პერსონალის წრის დროებითი ბიუროს განცხადება

გაუგებრობის თავიდან ასაშორებლად ს.-დ. საექ.-სასან. პერსონალის წრის დროებითი ბიურო რაცხს თავის თავს ვალდებულათ გაზეთის ფურცელზე განაცხადოს შემდეგი:

ამ სამი კვირის წინ ქ. თფილისში შესდგა დამფუძნებელი კრება ს.-დ. საექიმო-სასანიტარო პერსონალისა, რომელმაც საჭიროთ დაინახა დაარსდეს თფილისში განსაზღვრულ მიზნის განსახორციელებლათ ს.-დ. საექიმო-სასანიტარო წრე. წრის წესდება მალე იქნება გამოქვეყნებული, საიდან ადამიანი ადვილათ დაინახავს წრის დაარსების საჭიროებას და აუცილებლობასაც. საჭირო იყო, სანამ ზოგიერთი პირნი პრესაში ასტეხდენ ამ წრის დაარსების შესახებ უსაფუძვლო განგაშს, ცოტაოდენი მოთმინება; მაშინ შეიძლება გაუგებრობას ადგილი არ ჰქონოდა და ბევრი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა ამ კითხვის გარშემო არ ამტყდარიყო. მაგრამ საუბედუროთ ეგრე არ მოხდა.

წრის კრების მეორე დღესვე, როცა წრის მიზანი დაახლოვებითაც არ იყო არსად აღნუსხული,—დაიბეჭდა პატარა შენიშვნა გერმანულ გაზეთში „kauk. Post“-ში და საკმაოთ ვრცელი წერილი ექ. მაისურაძისა გაზ. „სახალხო საქმეში“. როგორც ერთი, ისე მეორე კიცხავს წრეს საექიმო-სასანიტარო მეცნიერებაში, სახელდობრ ექიმობაში, რაღაც ახალი „სოციალ დემოკრატიული მიმართულების“ შექმნისთვის და უკვე არსებულ სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში ანარქიის შეტანისთვის. ეს ბრალდება გაუგებრობაზეა დამყარებული და ჭეშმარიტებას არ შეესაბამება. ს.-დ. პერსონალის წრის დროებითი ბიურო გადაჭრით აცხადებს, რომ ახლათ დაარსებული წრე არ არის წმინდა მეცნიერული წრე,—სხვა თუ არა ამას თვით წრის შემადგენლობა ცხად ყოფს,—ასე რომ წრეს არ ქონია სახეში საექიმო-სასანიტარო მეცნიერებაში პარტიული ელემენტის შეტანა და თუ ერთ-ერთ წრის კრებაზე ერთ ამხანაგის მიერ წაკითხულ იქნა მოკლე მოხსენება ხოლერის და მასთან ბრძოლის შესახებ, არა იმიტომ, რომ, როგორც გონია ეს ექ. მაისურაძეს, მას აღმოეჩინოს რაღაც უცხო „სოციალ-დემოკრატიული“ საშუალება ხოლერასთან საბრძოლველათ, არამედ მისთვის, რომ გამოერკვია, თუ რამდენათ დანაშაული მიუძღვის ქალაქის საბჭოს ს.-დ. ფრაქციას ხოლერის გავრცელებაში ზომების დროზე მიუღებლობის გამო.

წრის მიზანი და დანიშნულება პრაქტიკულ ხასიათისაა. მას სურს ერთის მხრით—დაეხმაროს შეძლებისდაგვარათ სხვადასხვა დაწესებულებათა ს.-დ. ფრაქციებს საექიმო-სასანიტარო საკითხების ასე თუ ისე გადაჭრაში და მეორეს მხრით—საქარხნო-საფაბრიკო მედიცინის შესწავლით, სავალდებულო კასების დღევანდელ მდგომარეობის გამორკვევით და ქარხნებში, ფაბრიკებში, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში შრომის პირობების შესწავლა გათვალისწინებით ხელი შეუწყოს მუშათა ორგანიზაციებს წამლობა-სანიტარიის საქმის უკეთეს ნიადაგზე დაყენებას.

ამ უკანასკნელ მიზნის განსახორციელებლათ წრე იყოფა სამ სექციათ, და თვითეულ სექციას ეკისრება შესწავლოს, განსაზღვრული დარგი სოციალური მედიცინისა.

როგორც სჩანს, აქ საქმე ეხება არა მეცნიერების განვითარებას, არამედ იმ საშუალებების და პირობების შექმნას, რომელთა შეოხებით მუშათა კლასს და საზოგადოთ დემოკრატიას გაუადვილდება საექიმო მეცნიერების მონაპოვართა გამოყენება და ძლიერ დიდ ცოდვას სჩადიან ის პირები, რომლებიც ... დაუსახავთ ამ მეტად ... წრის ... ნისთანავე წესიერად ... ტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს. კითხვა იბადება, მიიღებიან თუ არა ამ წრეში წევრებათ არა ს.-დ. მცოდნე პირები?

როგორც ზევით ვსთქვით, წრის ერთ-ერთ მიზანთაგანს შეადგენს დაეხმაროს ს. დ. ფრაქციებს, ასე რომ წრე ზოგიერთ შემთხვევებში, შეიძლება, გადიქცეს პირდაპირ ფრაქციის საექიმო-სასანიტარო კომისიათ, რის გამო, ეჭვს გარეშეა, წრის წევრებათ სხვა მცოდნე პირებიც კი ვერ იქნებიან დაშვებული. სამაგიეროთ წრე საჭიროთ აღიარებს, დაშვებულ იქნას ყველა დაინტერესებული პირნი გადამწყვეტი ხმით სექციაში სამუშაოთ, სადაც ისინი თავის ცოდნით და გამოცდილებით დიდ სარგებლობას მოუტანენ ამ ფრიად სერიოზულ საქმეს.

რაც შეეხება სხვადასხვა სოციალისტურ პარტიების პერსონალის წრეში მიღების კითხვას, ეს ჯერ-ჯერობით ღიათ დარჩა, რადგან არ მომხდარა ყველა ამ პარტიების სავსებითი ჩამოყალიბება და ერთის დაშვებით მეორესაც, არა სასურველსაც, კარი უნდა გაეღოს. სასურველია, რომ მალე მოხდეს უფრო მჭიდრო კავშირი ყველა მონათესავე წმინდა სოციალისტური პარტიებისა და მაშინ ჩვენ წრესაც უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლება. დროებითი ბიუროს თავმჯდომარე: ექ. მ. მ—ი.

# ს.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 8 აგვისტოს შესდგა მეორე რაიონის კოლექტივის ს. დ. მ. პარტიის წევრთა კრება. კრებამ მოისმინა რა გასული კრების ოქმი, მიიღო ის მხედველობაში და გადავიდა მორიგ კითხვებზე. კრება ისმენს ტრამვაის ცენტრალურ მამოძრავებელ სადგურში 18 ივლისს მომხდარ გაფიცვის შესახებ არჩეულ საგამომძიებლო კომისიის მოხსენებას და ადგენს: მიეცეს ცენტრალურ სადგურის ამხანაგებს წინადადება მომხდარ ინციდენტის საბოლოო გამოსარკვევათ და დამნაშავე მხარეს მსჯავრის დასადებათ დანიშნონ 5 პირისაგან შემდგარი პარტიული სასამართლო, რომელშიაც უნდა შედიოდეს საოლქო კომიტეტის, თფილისის კომიტეტის, მეორე რაიონის კოლექტივის, ტრამვაის პარკისა და „ტრამვ.“ ცენტრ. მამოძრავებელ სადგურის ამხანაგები.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ადგილობრივ ორგანიზაციებში პარტიული მუშაობა კარგათ მიდის. კრებამ დაადგინა, წერილობითი შეკითხონ კოლექტივის მდივანს, აპირებს ის თუ არა ახლო მომავალში თავის ადგილზე დაბრუნებას? და თუ არა—მოწვეულ იქნას ამ თანამდებობაზე სხვა პირი. კრება ადგენს: ვინაიდან კოლექტივის სამი თვის ანგარიში შედგენილია, მიეცეს წინადადება სარევიზიო კომისიის წევრებს გადაათვალიერონ ანგარიშები და თავიანთი შეხედულება წარმოუდგინონ კოლექტივს.

თედ. ხუხუნაიშვილი.

**ჭიათურის რაიონი.** 23 ივლისს შესდგა ჭიათურის კომიტეტის, კოლექტივის და მოწინავე ამხანაგების კრება. დღის წესრიგი: 1) მოხსენება საოლქო კომიტეტისა, 2) პარტიული მუშაობა, 3) ორგანიზაციების აღდგენა ჭიათურის გარეშე, 4) დემოკრატიული ორგანიზაციები, 5) პროპაგანდისტ ორგანიზატორების გამონახვა, 6) საგუბერნიო კომიტეტი და 7) ფინანსიური მხარე.

მოხსენებას აკეთებს ვ. კაპანაძე, 18 ივლისს მოხდა ქ. ქუთაისში თათბირი სადაც მიუღიათ დადგენილება საოლქო კომიტეტის, რომ პარტიული მუშაობა გაძლიერებულ იქნას სოფლად და ქალაქად; აღდგენილ იქნას ორგანიზაციები სადაც დაშლილია. ცენტრის სასოფლო კომისია გზავნის თითო კაცს თითო რაიონში. ამ უკანასკნელის სისრულეში მოყვანა და მოწესრიგება, როგორც უპარტიოს გადაეცა მუშათა დეპუტატების საბჭოს. გაძლიერებულ იქმნას პარტიული მუშაობა. აღდგენილ იქმნას ჭიათურის გარშემო მის რაიონში კოლექტივები, რომლებიც ბრბოების გამოსვლების გამო დაშლილიყო. მოწყობილ იქმნას დემოკრატიული ორგანიზაციები სოფლათ. პროპაგანდისტ-ორგანიზატორების გამოსანახავათ და შესადგენათ კომ. პრეზიდიუმთან ერთად არჩეულ იქმნა კომისია, რომლებიც პროფესიონალურ მომუშავეების ჯგუფს შეადგენს და გაგზავნის სამოქმედოთ. კრებამ სურვილი გამოსთქვა საგუბერნიო კომიტეტის დაარსებაზედ და თავის მხრით აირჩია ვ. ბურჯანაძე. დაევალოს საფინანსო კომისიას რომ გამოსძებნოს სახსარი პარტიის ფონდის გასაძლიერებლათ გაიმართოს ლექციები, ხელის მოწერა და საღამო, როცა მოსახერხებელი იქნება.

ამხ. პ. გოგიაშვილის მოხსენების გამო ყვირილის პარ. კრებაზედ, კრებამ დაადგინა: ამხ. გოგიაშვილს ეცნობოს, თუ რა მოტივებით ხელმძღვანელობდა როცა

რაიონის სოც.-დემ. პარტიას ბრალს სდებდა საჩხერის ამბებში. საღამოს მოხდა პრეზიდიუმის და კომისიის სხდომა. გარდა სასოფლო კომისიის მიერ გამოგზავნილ მომუშავესი, რომელიც, მოკლე ხანში უნდა მოვიდეს, ამ რაიონში სამუშაოთ დასახელებულ იქმნა 4 კაცი, რომლებისაგან ორნი ვ. ბურჯანაძემ და მ. დობორჯგინიძემ უკვე შეუდგენ სოფლათ მუშაობას. საჭიროა დაჩქარებით გამოგზავნილ იქნას ცენტრის (სასოფლო კომისიის) მიერ პარტ. მომუშავე.

27 ივლისს მოხდა ს. რგანის პარტიის წევრების კრება. დღის წესრიგი: მოხსენება ამხანაგებისაგან, თანამედროვე მდგომარეობა, პარტიული მუშაობის გაძლიერება, ხრეითლების შესახებ. მოხსენებას აკეთებს ქ. ამ-ბი ქუთაისის თათბირის შესახებ და საოლქო კომიტეტის დადგენილებას. მომენტზე ილაპარაკა ვ. ბურჯანაძემ; გადასწყდა შეუდგენ ენერგიულად მუშაობას. ხრეითლები, რომლებიც გამდგარ სოფლათ ითვლება ზოგიერთი ვაჟბატონების წყალობით, რომლებსაც ხალხი ტერორ ქვეშ ჰყავთ. ამიტომ დადგენილ იქნა მეორე დღეს მოწვეულ იქმნას რგანის საზოგადოების ყრილობა და არჩეულ იქნას დელეგაცია ხრეითლებთან გასაგზავნათ ახსნა განმარტებისათვის.

28 ივლისს შესდგა ს. შუქრუთის ს.-დ. პარტიის წევრების კრება, სადაც მოხსენებულ იქმნა ამხ-საგან, საოლქო კომიტეტის დადგენილება, თანამედროვე მომენტი და სოფლის საზოგადო კრების დანიშვნა ხალხისთვის ახსნა განსამარტებლად.

29 ივლისს შესდგა ს. პერევისის ს. დემ. პარტიის წევრთა კრება მოხსენება გააკეთა თანამედროვე მდგომარეობაზე და პარტიულ მუშაობაზე ამხ. ვ. ბურჯანაძემ. შემდეგ გარჩეულ და მიღებულ იქმნა შემდეგი. დანიშნულ იქმნას სამეცადინო დღე კვირაში ერთხელ, არჩეულ იქნას ქ. რ. კომიტეტში ერთი წევრი, დაემატა კოლექტივის 5 წევრს კიდევ ოთხი წევრი. დასასრულ მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. წერეთელი ტელეგრაფის მოწყობის შესახებ მთელი შორაპნის მაზრაში, რასაც კრება თანაგრძნობით შეხვდა.

**ძველი დარაჯი.**

# მუშათა შორის

**პარიკმახერთა შორის.** 4 აგვისტოს შესდგა თფ. პარიკმახერ მუშათა საზოგადო კრება. კრება ჩვეულებრივათ მცირე რიცხოვანი იყო. კავშირის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ლავრენტი ქა-რია. სამწუხარო სურათს ხატავს მომხსენებელი. აღნიშნავს რა კავშირის სიუძლურეს—მუშათა შეუკავშირებლობას, სხვათა შორის ამბობს: „ერთი მიზეზთაგანი იმისა, რომ კავშირი არა სდგას თავის მოწოდების სიმაღლეზე, არის ის, რომ თფილისის პარიკმახერთა შორის არ აღმოჩნდა ისეთი პროფესიონალური მუშაკი, რომელიც შესძლებდა კავშირისთვის იდეიური ხელმძღვანელობის გაწევას“-ო. კავშირს არ უწარმოებია კულტურული მუშაობა, წევრების უმრავლესობა ანგარიშს არ უწევენ კავშირს, არ იხდიან საწევრო გადასახადს და სხვა. მოხსენების მერმე მოხდა დამატებითი არჩევნები გამგეობის წევრებისა. არჩეულ იქნა აგრეთვე კულტურულ განმანათლებელი და ფინანსიური კომისია: ბედუკაძე, ფოთოლაშვილი, კვერიკაშვილი.

ლოთობა პარიკმახერთა შორის ამ ბოლო ხანებში ფეხს იკიდებს. ხშირია მაგალითები; კავშირის გამგეობაში მოდიან „ხაზეინები“ შემდეგი თხოვნით: „ჩემთან მომუშავე ესა და ეს... მუშა თვრება... სამუშაოთ აღარ მოდის, გთხოვთ მიიღოთ ზომები“-ო!.. ამ რამდენიმე დღის წინათ ერთ ერთ „ხაზეინს“ წარუდგინეს მოთხოვნილება. „ხაზეინმა“ დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. მიზეზი? „ჩემთან მომუშავენი ლოთობენ... მომცეს კავშირმა გარანტია, რომ შემდეგში სიმთვრალის გამო სამუშაოს არ მოცდებიან და დავაკმაყოფილებ მოთხოვნილებასო“. მქონდა ბედნიერება დავლაპარაკებოდი რამდენიმე ღვინის მოტრფიალეთ. ავუხსენი: თუ ლოთობის გამო მოცდებით სამუშაოს, „ხაზეინს“ უფლება აქვს დათხოვნისმეთქი. მიპასუხეს: დაგვითხოვს... სამი თვის ჯამაგირს მოგვცემს... თუ არ მოგვცემს კავშირი ძალით აღებსო“. ასე ესმით მათ კავშირის მნიშვნელობა. სამწუხაროთ და სამარცხვინოთ გამგეობის ზოგიერთი წევრიც ვერა სდგას თავის მოწოდების სიმაღლეზე, „რა უშავს, რომ დათვრესო“, ამბობენ ესენი. დიდი მოვალეობა აწევს ჩვენი კავშირის გამგეობას, საჭიროა კულტურულ მუშაობას მიექცეს უმთავრესი ყურადღება. კულტურულათ მაღლა მდგომი მუშა, აი რა მოსპობს მუშათა წრეებში გამეფებულ ბოროტებას! მივმართავთ „ხაზეინებს“ აცნობონ კავშირს იმ მუშების გვარი და სახელი, რომლებიც ლოთობის გამო სამუშაოზე არ მიდიან. მოწინავე ამხანაგებო, შეებრძოლეთ ამ გამათახსირებელ მოვლენას!..

**რიხხვა**

# პროვინცია

**ბორჩალოს მაზრა.** ეს მაზრა საქართველოს ღვიძლია. ძველი საქართველოს კულტუროსნობის კვალი, მეურნეობისა და საკულტურო მოღვაწეობის ნაშთები დღესაც მრავლად მოიპოვება აქ. დღეს თუმცა ეს მხარე უმეტესად თათრებით და სომხებითაა დასახლებული (არიან ქართველები და ბერძნებიც), მაინც ყველა მათგანს სული და გული საქართველოს დედაქალაქისკენ—თფილისისკენ ჰქონდა. ესენი ქართველებსა და თფილისს არც კი ჩამოშორდებოდენ, მაგრამ უკუღმართმა ჩვენი რესპუბლიკის მტრების ბნელმა საქმიანობამ აქარ თათრებს ისე აუცრუა გული, ისე გააბეზრა, რომ რომ ლამის საუკუნოდ გულიდან ამოირეცხონ ქართველთა მეგობრობა. ყველას მოეხსება დღევანდელმა სიძვირემ, განსაკუთრებით პურის სიძვირემ, რა უმაღლეს ხარისხამდე მიატანა. ბორჩალოს მაზრა კი ის დიდი პურის ბეღელია, საიდაც მუდამ ზღვა პური მოდიოდა, საუკეთესო ხარისხისა. წლევანდელმა მოსავალმა ხომ მოლოდინს გადააჭარბა. აქაური თათრობაც შეუდგა პურის ბაზარზე გატანას—თფილისს წაიღებს, მაგრამ რა? გზაზე სამ-ოთხ ადგილს ისეთი გველეშაპებია გაღაწოლილი, რომ ღმერთმა დაგვიფაროთ. ბორჩალოდან თფილისს პურს ეზიდებიან ურმებით და აქლემებით იაღლუჯას ტბას მოატანენ თუ არა, პურის შემომტანი ქარავნები, დახვდებიან ჯარისკაცები და იწყება აშკარა ძარცვა. ურემზე არა ნაკლებ ოცი თუმანი (ზევრჯელ ორმოც-სამოცი და ასი თუმანიც წაუგლეჯიათ) და აქლემებზე ათი თუმანი თუ არ გადიხადა, ურემი და აქლემი ვერ გამოივლის. აქ, როგორც იქნა გამოიარა ქარავანმა. ახლა სოღანლუღში დაუხვდებიან და მეორედ აქ „პარსვენ“, მესამედ ქალაქში დაესევიან მილიციონერები, და ბაზარზე კი პური გირვანქა ხუთ მანეთამდე ადის. თუ ვინმე უფულო მეურმე-მეაქლემეთაგანი შეხვდა და დაუწყო მუდარა: ამის მეტი არა მაქვს, ამის შემოსავლით ფართალი, ნავთი და ჩაი-შაქარი უნდა ვიყიდოვო, ჯარისკაცები და მილიციონერები დაუბღვერენ: მაშ ჩვენ ჭამა არ გვინდაო. თუ როგორც იქნა და მეურმე-მეაქლემემ პური შემოიტანა და გაჰყიდა (თუ პირველ დღესვე ვერ გაჰყიდა და როგორმე მეიდანზე დარჩა, დიდი ბედნიერებაა, რომ ლამე გატაცებას გადარჩეს), უკან გაბრუნებისას ამ ბეჩავ თათრებსა ახალი წამება იწყება: დაუხვდებიან მილიციონერის ტანისამოსში გამოწყობილნი და დაუწყებენ ჩხრეკას: იარაღი გექნება სადმე და სწორედ იმ „იარაღს“ მიაგნებენ, რომელიც საცოდავმა გლეხმა მამასისხლით მონაგარ და ვაი უბედურებით გაყიდულ პურში აიღო, ე. ი. ფულს ამოაცლიან და გამოუშვებენ. ამ გარემოებამ ისე დააფრთხო ბორჩალოელი თათრები, რომ, ვინც კი იწვნია, თფილისს სათოფეთაც ვერ მიაკარებ: თუ ვინმე იტყვის, მადლობა ღმერთს, პური საკმაოდ მომივიდა, ერთი ოციოდე კოდს გავყიდი, კოდს ათ-თორმეტ თუმნობაზეო (ფუთი 35—40 მან.) და ცოლშვილს შევმოსავო.

მეორე, ვისაც ქალაქი უწვნევია, შესძახებს: ხომ არ გაგიჟებულხარ, თუ რამ მოგივიდა, მიწაში ჩაფალი, დაე მიწაში ჩალპეს, ან საქონელს აჭამე, ვიდრე ყაჩაღებმა წაგართონო.

აი, დღეს ასეთი მდგომარეობაა ბორჩალოში. თითონ ამ სტრიქონების დამწერმა მოიარა ბორჩალოს მაზრა და ყოველივე ზემორე შეამოწმა. პური ძლიერ ბევრია, მაგრამ შემოტანა ჯოჯოხეთია. როცა ჯარისკაცებს გამოველაპარაკე, ამხანაგებო, ვისი განკარგულებით ახდევინებთ მეთქი მაგ გადასახადს, უმეხად მიპასუხეს—შენ ვიდა ოხერი ხარ, რომ საქმეს იძიებო. ჯარისკაცთა შორის არიან ქართველები და სომხები.

ყოველივე ზემორე თქმული პირადათ მოვახსენე მთავრობის თავმჯდომარეს.

თუ ამ საქმეს არ ვუშველეთ და ასეთი თავგასულობა, თვითნებობა და ავაზაკობა დროით არ მოვსპეთ, არა თუ ბორჩალოს მაზრა წაგვივა ხელიდან, არამედ საქართველოს თავისუფლებაც საფრთხეში ჩავარდება.

საგუბ. კომ. რწმუნებული საქართველოს მაქალაქე **ხოიხ გული მამედი.**

---

**ალღულახის რაიონი.** (თფილისის მაზრა). ეს რაიონი თავისი სიგძე-სიგანით და მცხოვრებლებით თითქმის სხვა რაიონებს სჭარბობს. 19—20 საზოგადოების მცხოვრებლებს შეადგენს: ქართველები, სომხები, ნემცები—კოლონისტები, ბერძნები, რუსები, ოსები და თათრები. ეს სხვადასხვა ნაციის წარმომადგენლები ისე მჭიდროთ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულ-დაახლოვებული, რომ თითქმის ერთ და იმავე ზნე ჩვეულებას ნახავ მათში, ყველანი უმეტესად ლაპარაკობს, ან სომხურად, ან ქართულად. თითქმის ყველა გარდა ნემცებისა და რუსებისა მეცხვარე და მიწის მუშაა. პირველნი და მეორენი კი ქალიანკაციანა მისდევენ მებაღეობას, მებოსტნეობას, საქონლისა და ფრინველის მოშენებას. აქ ბევრია. რძე, კვერცხი, ერბო, კართოფილი. მცხოვრებლები ძალიან ბნელი და გაუნათლებელია. უწინ ხომ სისტემატიურად იყო და ეხლაც ხშირია მათში საქონლის გატაცება, ქურდობა-ავაზაკობა და კაცის კვლა, ე. წ. სისხლის აღება. სულიერი განწყობილება ბოლშევიკურია, მას შემდეგ, რაც ფრონტებიდან ჯარის კაცები დაბრუნებულან. მთელი რაიონის ადგილ მამული შეადგენს რამოდენიმე ჯვარეულობის ე. ი. თფილ. მებატონეების საკუთრებას. თითეულ საზოგადოებაში წინეთ თითო მებატონე სცხოვრობდა თავისი დარბაზით, რომელიც დღეს დანგრეული, დარბეული და გაპარტახებულია. მომყავს აქ ზოგიერთის გვარები: ბარათაშვილები, ჭაბაშვილები, საგინაშვილები, არეშევი. აქ მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ორ ღირს შესანიშნავ მოვლენას: 1) ეკატერინე II ესაგან დასახლებულ ნემცებისათვის როგორც რუსის მთავრობას, აგრეთვე ადგილობრივ მებატონეებს მიუციათ ნახევარზე მეტი საუკეთესო სახნავ-სათესი ადგილები ნაჭერ-ნაჭერად სხვადასხვა სოფლებში, თუმცა ნემცები ერთად სცხოვრობენ „კოლონიაში“. რასაკვირველია, პირველისაგან მიუღიათ უფასოდ, ან ძალიან მცირე ფასით, მეორესაგან კი ჩემთვის ჯერ არ არის გამორკვეული, მარა ვგონებ აქაც ჩვენი თავადების დოვლათიანობა იქნება დაცული. 2) მიწათა საკითხის წესდების მე 9 § თუ არ ვცდები, დაკანონებულია შემდეგი: მებატონეს ეძლევა უფლება თავისი მამულებისაგან, სადაც მას ესურვება იქ აარჩიოს თავისთვის სახნავ სათესი ადგილები. გავითვალისწინოთ შემდეგი მაგალითი: სოფელ ჩხიფთაში სცხოვრობს 60 კომლამდე გლეხები, აქ არის 6 მებატონე, ექსივემ თავის სასარგებლოთ კომისიას განუცხადა, რომ ამ სოფელში სურთ ქონდეთ სახნავ სათესი ადგილები, თუმცა მათ სხვა სოფლებშიაც აქვთ ადგილები. ზოგმა აიღო აღმოსავლეთის მხარე, ზოგმა დასავლეთის,—სამხრეთის და ჩრდილოეთის, ასე რომ, მთელი სოფელი მოემწყვდია შიგ შუა გულში და არსაიდან გამოსავალი გზა არ აქვს თუ არ გადმოფრინდებიან, ან ძალით უნდა აიყაროს მთელი საზოგადოება, ან, როგორც თითონ გლეხები დღეს ჩადიან არ შეუშვენ შიგ მებატონეები, თუმცა კომ. მებატონეებს აკუთვნა და არგუნა იქ ადგილი. ძველად მორიგებით, იჯარით, ან იქნებ ძალით მე ეს არ ვიცი, ყველანი სარგებლობდენ ნემცების და მებატონეების ადგილებს, დღეს კი პირველნი გათამამებულნი მდგომარეობით დაუბრუნდენ წარსულს და ერთი ორად ახდევინებენ ადგილობრივ გლეხებს ყველა იმ ზარალს, რაც ათი წლის განმავლობაში მოუვლიათ მათგან. ეს რომ ხდებოდეს მორიგებით, ან სასამართლოს დადგენილებით, შეიძლება გლეხები ამას კიდევ შერიგებოდენ, მარა ეს ასე არ ხდება. არ ვიცი რა უფლებით, ან ვისი დავალებით დათარეშობენ, ადგილობრივი ნემცები შეიარაღებულ ძალით სოფლებში და აუწერელია ის სურათი, რასაც სჩადიან. ცემა მათრახებით, აწიოკება, იარაღის აყრა, ნამუშევარის წართმევა, ფულების გატაცება, საქონლის გარეკა თითქმის ყოველ დღე ხდება მათის მხრივ; ხალხი კვნესის, გოდებს მათ გამოძახილზე ჩვენი მთავრობისაგან გამოძახილი არ ესმის. ეს არის მთავარი მიზეზები ყველა იმ მოვლენის, რაც დღეს ალღულახის რაიონში ხდება უყურადღებობის გამო. მთავრობის პრესტიჟი მათ თვალში დაკარგულია და რა გასაკვირია, რომ მთავრობისგან დაყენებულ რაიონის კომისარს არ უჯერებდენ და ტერორსაც უნიშნავდენ, დაბნეულმა გლეხმამუშამ არ იცის, ვის დაუმიზნოს თოფი. ამას მოჰყვა ის მაგალითათ, რომ 18 ივლისს შეიარაღებულნი რუსები თავს დაესხენ რაიონის კომისარს და მილიციონერებს, აჰყარეს იარაღი და მოკვლაც მოუნდომეს, მარა რაღაც შემთხვევით ცოცხლები გადარჩენ. მიზეზი? კომისარს სისრულეში უნდა მოეყვანა მთავრობის განკარგულება. პასუხი? ჩვენ არ ვიცით თქვენ ვინა ხართ და ვინ არის ჩვენი მთავრობა გერმანია, საქართველო თუ სხვებიო. ესეც არის: თუ დაუსჯელათ დასტოვეს ზოგიერთები, რომლებიც ამზადებენ ნიადაგს ხალხში დღევანდელ მდგომარეობის შესაქმნელად, მაშინ დაგვრჩენია მართლადაც უარვყოთ ჩვენი ყველაფერი და ანარქიას მივსცეთ რესპუბლიკაც და რევოლიუციაც.

**ა. უ.**

---

**გურია.** როგორც მკითხველებმა იციან, ოზურგეთი და მისი მახლობელი სოფლები, რომელიც თათრებს ეკავა, სრულიად განადგურებულია და უპატრონოდ დარჩენილ ოჯახებიდან გაზიდულია ყოველივე საოჯახო ნივთები. ცუდ პირობებში იმყოფება ლიხაურის საზოგადოება. გურულები თავმოყვარე ხალხია და პატარა გასაჭირისთვის ხელს არ გაუწვდიან, მაგრამ დღეს, როდესაც ომმა ცეცხლში გახვია მათი ოჯახები, ისინი იძულებული გახდენ ხელი გაუწოდონ მეზობელ სოფ. მცხოვრებთ და დახმარება სთხოვონ. ხშირად შეხვდებით განადგურებულ სოფლებიდან გამოსულ ჯგუფ-ჯგუფად მოსიარულეთ, როგორც ახალგაზდა, ისე ხნიან ქალებს, რომლებიც სოფლად დადიან და დახმარებას თხოულობენ. ასეთია თვით განადგურებულ სოფლის მცხოვრებთა მდგომარეობა, მაგრამ არა ნაკლებ გაჭირვებას განიცდის იმ სოფლის მცხოვრებნიც კი, რომლებმაც დარბეულ სოფ. ლტოლვილნი შეიფარა და თავის ლუკმა პური მათ გაუნაწილა.

ფუთი სიმინდი 90—100 მან. ფასობს, არც იშოვება. ყოველ დღე შეხვდებით სიმინდის საყიდლათ გამგზავრებულ მამაკაცებს და დედაკაცებსაც, რომლებიც მთელი კვირაობით სოფელ-სოფელ დადიან, გირვანქობით სიმინდს აგროვებენ და ასეთ ნაირად ჰკვებავენ თავთავიანთ ოჯახებს. მიუხედავათ ათასგვარ გასაჭირისა, აქ ადგილი არ ჰქონებია არავითარ ანარქიულ გამოსვლებს.

სულიერი, განწყობილება გურიაში საუკეთესოა. პარტიულ მუშაობას გამოცოცხლება დაეტყო, ბოლშევიკური მიმდინარეობა ფეხს ვერ იკიდებს. კოოპერატიული მოძრაობა თანდათან ძლიერდება. ანარქიულ გამოსვლებს პროტესტებით ხვდებიან. ხშირად გაიგონებთ: თუმცა ზოგიერთი პირები, ან ჯგუფი, ცდილობენ რევოლიუციის დასამარებას, მაგრამ ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა არც ერთი პოზიცია მტერს უბრძოლველად არ დავუთმოთ, განვამტკიცოთ რევოლიუცია და ჩვენი ბრძოლა საბოლოოთ გამარჯვებას მოგვანიჭებს, და თუ ვინიცობაა ნიადაგს გამოგვაცლიან, მაშინ ისევ ძველი გზით დავიწყებთ მუშაობას და საბოლოოთ ხომ მაინც მივაღწევთ მიზანსო. სიხარულით მოელიან დემოკრატიულ ერობის შემოღებას. საერობო არჩევნების მზადება უკვე დაწყებულია. სკოლა, წიგნთ-საცავ სამკითხველო, გზა, აფთიაქი, ხიდი, საავადმყოფო და სხვ. რომ ერობის საქმეა, ამას გურიაში ყველა ამჩნევს და ამიტომ არის, რომ ერობის შემოღებას აქ გზას უკაფავენ. გზებისა და ხიდის გაკეთებას ამ თავიდანვე შეუდგნენ. ამის საუკეთესო მაგალითის მაჩვენებელი აკეთის საზოგადოებაა თავის 7—8 მახლობელ საზოგადოებებით, რომლებიც ჩვენი მთავრობისაგან მიიღებენ თუ არა ნებართვას შეუდგებიან ნაგომარიდან, ვიდრე ქ. ლანჩხუთამდე და სადგ. ნიგოითამდე გზა-ტკეცილის შეკეთებას; ეს გზა ცნობილია ჯერ კიდევ 1853 წ. —1877—78 წ. როდესაც რუსეთი ოსმალეთთან ომს აწარმოებდა, ამ გზამ დიდი სამსახური გაუწია ჯარს, გადაყვან-გადმოყვანისა, საომარ მასალისა და სურსათის მიწოდების მხრით. ამავე გზამ წელსაც დიდი სამსახური გაუწია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. გურიაში თათრების შემოტევის დროს ჩვენი ჯარი ამ გზით სარგებლობდა, ამიტომ აკეთის, ნაგომარის, ასკანის, ბასილეთის, ბახვის, ნიგოითის და შუხუთის საზოგადოებები სთხოვენ ჩვენს მთავრობას ამ გზის მთავარ სახელმწიფო გზათ დამტკიცებას თავის ხარჯზე, მხოლოდ სოფ. ასკანის ერთი ნაწილი ამ გზას მეორე მხრით თავისკენ მიეწიწებიან და კუთხურ განხეთქილებას ნიადაგს უმზადებენ.

ამ სოფლის მოწინავე ელემენტები, რომლებმაც ასეთ საშინელ მომენტში თავისი ენერგია და პრაქტიკული საქმიანობა უნდა გაარკვიონ, ვალდებულნი არიან მეზობელ საზ. შორის მშვიდობიანობა დაამყარონ და მოსალოდნელ შუღლსა და განხეთქილებას წინაღუდგენ. გზა ხომ ყველასათვის მიუცილებელი რამაა. საჭიროა თანხმობითი მუშაობა საერთო საქმის საკეთილდღეოთ.

**თედ. ხუხუნაიშვილი.**

---

**ს. ნოსირი** (სამეგრელო). 2 აგვისტოს ჩვეულებისამებრ ამ სოფელმა იდღესასწაულა წმ. ელიობა, რასაც სამწუხარო ამბავი მოჰყვა. საღამოს, სოფლის შუა ალაგზე, სადაც რკინის გზის ლიანდაგი გადის ფოთისკენ, თავი მოეყარა აუარებელ ხალხს. ადგილობრივი კომისარი თავის მილიციონერებით რაც შეიძლებოდა იცავდა წესრიგსა, მაგრამ როცა მზე ჩაესვენა, აბაშიდან ჩამოვიდა ნ. გვაზავას მეთაურობით რამოდენიმე კაცი, რის შემდეგ იჩინა თავი ხალხში უწესოებამ და ასტყდა უზედური სროლა. ასე, რომ ნამდვილ ბრძოლის ველს წარმოადგენდა აქაურობა. სროლის შეწყვეტის შემდეგ აღმოჩნდა მოკლული მუშა თომა კალასონია, ცოლშვილის პატრონი. აღმოჩნდა აგრეთვე მძიმეთ დაჭრილნი სტეფანე გაგავა და გიორგი გვათუა, მსუბუქათ დაჭრილნიც არიან რამოდენიმე. საჭიროა დამნაშავეების აღმოჩენა და მათი ღირსეულად დასჯა.

**ალექსანდრე დუდუჩავა.**

# წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო! „ერთობის“ 24 ივლისის № 154 მოთავსებულია კორესპონდენცია ჭ. საჩინელის წერილი სამეგრელოს სათაურით, რომელიც, სამწუხაროდ, გაუგებრობაზეა აგებული. ავტორი ეხება სუჯუნის რაიონის კომისარს მიხეილ ბეგლარის ძე ნოდიას და სრულს უნდობლობას უცხადებს მას, როგორც ყოფილ მთავრობის მოხელეს კორესპონდენტი შეცდომაში შედის. მან კარგათ იცის, რომ მიხა ნოდიას გარშემო შემოკრებილია ცნობილი რევოლიუციონერები, რომელნიც ძალიან კარგათ იცნობენ მის წარსულს და ამისთვის ჩააბარეს მას ეს საპასუხისმგებლო ადგილი. ჩვენ ვიცით, რომ პოლიციის სამსახური ძველ დროში ერთნაირი პროფესია იყო, სადაც ბევრნი მხოლოდ ლუკმა-პურის საშოვნელად შედიოდენ. ყოფილ მოხელეთა ამ ჯგუფს ეკუთვნის სუჯუნის რაიონის კომისრად ნამყოფი მიხა ნოდია. როდესაც ადგილობრივი რევოლიუციონური ორგანიზაციები მას კომისრის თანამდებობაზე ნიშნავდენ, ისინი იცნობდენ მის წარსულს და აწმყოსაც. განვიხილოთ ზოგიერთი საბუთები: მიხა ბეგლ. ნოდია მსახურობდა განჯის გუბერნიაში, იყო შუშის მაზრის უფროსის თანაშემწედ. დანამდვილებით ვიცით, რომ მას ფართო მასსაში დიდი სიმპატია ჰქონდა დამსახურებული. აი საბუთიც: 1917 წ. 28 სეკტემბრას თარიღით ყარაის ამ. კომიტეტი ასე ახასიათებს მიხა ნოდიას: „საქმეების გარჩევის დროს ხელმძღვანელობდა მხოლოდ სამართლიანობით, საზოგადო საჭიროებას ეკიდებოდა თანაგრძნობით, საქმეებს ეკიდებოდა მეტად სინდისიერად და ჰუმანიურად“. მოწმობა № 2068 ხელს აწერენ განჯის გუბერნიის ცნობილი რევოლიუციონური მოღვაწეები. მიხა ნოდია, რომ რევოლიუციონური სულის მატარებელი იყო, ამას იცნობენ ადგილობრივი ამხანაგები. რევოლიუციას აც ლეფრთოვანებით შეხვდა ის. აი რას სწერენ მის შესახებ, სხვათა შორის, დ. კარიაგინოდან. კრებაზე, სადაც პირველად გამოაცხადეს რევოლიუციის ამბავი, ორატორმა მიხა ნოდიამ წარმოსთქვა გულწრფელი სიტყვა. „კრების შემდეგ ათასოვან კრებამ თავისუფლების მეგობრებმა მ. ნოდია და სტეფანოვი ხელზე აიტაცეს და ისე მიიყვანეს მეჩეთში“... (იხ. გაზ. „ზაკავკ. რეჩ“, № 72, 29 მარტის, 1917 წ.).

სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ მ. ნოდია ჯარში გაიწვევს. აქ ის ჯარისკაცებმა კომიტეტში აირჩიეს. 221 ქვეითა სათადარიგო პოლკის მეორე როტის კომიტეტი 1917 წ. 17 ოქტომბრის თარიღით კარგს ატესტაციას აძლევს მ. ნოდიას. ჩვენ კიდევ ბევრი საბუთის მოყვანა შეგვეძლო, მაგრამ ნათქვამიდანაც ნათელია მისი პიროვნების ღირსება.

სუჯუნის რაიონში მას ხალხი დიდს პატივს სცემდა და აირჩიეს სარაიონო სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარეთ. შემდეგ აირჩიეს რაიონის კომისრად ამ თანამდებობებს ის ასრულებდა პატიოსნად და ნიჭიერად. ბოლოს მან სისუსტის გამო ითხოვა გადადგომა და ჭ. საჩინელის წერილის დაბეჭდვამდე 21 ივლისს სუჯუნის რაიონის გლეხთა საბჭომ და აღმ. კომ. შეიწყნრა ამისი თხოვნა და ის გაანთავისუფლა. მასთან ერთად ხარება გა[illegible] საზოგადო საქმეს [illegible] ნოდიას გამოცალ[illegible].

ყველა მოყვანილ საბუთების შემდეგ მკითხველი დარწმუნდება მიხა ბეგლარის ძე ნოდიას პირად ღირსებებში დაგვეთანხმება, რომ ყველა პირებზე გამოდგება ერთნაირი საზომი.

სუჯუნელ ამხანაგების დავალებით **არტემ ფანცულაია.**


# განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობების გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა შეიცვლება შემდეგ ნაირათ:

თფილისიდან გავა:

| | | | საათ. | |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | დილის | 7 | 5[illegible] |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 3[illegible] |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 1[illegible] |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 1[illegible] |
| „ | № 8 | დღის | 3 | 3[illegible] |
| სანაინისკენ | № 4/3ა | დღის | 1 | |

თფილისში მოვა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 5[illegible] |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 3[illegible] |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 4ა/3 | დილის | 11 | — |

თფილისის დროით.

---

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი**
იღებს ქალებს და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღ[illegible] ქუჩა, 41. ტელ. № 9 53. (24—[illegible])

---

**კერძო მიხეილის სამკურნალო**
მუდმივი ლოგინებით. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდა[ნ] მიხეილის პროსპექტი, 167.

---

**ექიმი ი. გ. კონიევი.**
იღებს შინაგან სნეულებით ავათმყოფ[თ] საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდის უბნის ქ. № 3. (24—7)

---

**ექ. ძალი რ. გ. ზიშლო-საბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა სახლი № 82. ტელ. № 9—26.

---

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით —9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

---

**ექიმი ხ. მ. მუხაძე**
იღებს სადღისტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ბფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

# განცხადება

თფილისის სამხედრო-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა სთხოვს წევრებს მოვიდენ **საზოგადო კრებაზე**, რომელიც მოხდება ამა წლის **11 აგვისტოს, შუადღის 2 საათზე** ორთაჭალაში, „დასახიჩრებულ მეომართა თავშესაფარში“, ტრავმოტოლოგიურ ინსტიტუტთან.

ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

(2—2) **თფილისის სამხედრო დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა.**

---

## ნაცარწმულიან-ნახშირმჟავიანი წყალი

1907 წლის გამოფენაზე დაჯილდოვებულია

# ბორჯომი

უმაღლესი ჯილდო (Grand prix).

უკანასკნელმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ბორჯომის წყალში არის მუდმივი ემანაცია, რაც ამტკიცებს მასში რადიის მარილის ნიშნების არსებობას.

**ბორჯომის წყალს** ექიმები ურჩევენ: 1) სასუნთქავ ორგანოების ქრონიკულ ანთების დროს, 2) კუჭისა და ნაწლევების ქრონიკულ ანთების დროს, 3) ჭაჭის, ნაღველისა და შარდის მილის ავათმყოფობის დროს, ქრონიკულ რევმატიზმისა და სხვ., 4) საქმლის მონელების მოშლის ყველა შემთხვევებში (ნიკრისის ქარი, სიმსუქნის და შაქრის ავათმყოფობა და სხვ).

**ბორჯომის წყალი** განირჩევა თავის უმჯობესობით სხვა ნაცარწმულიან წყლებისაგან მით, რომ ის შეიცავს იოდს და ბრომის მარილს.

**ბორჯომის წყალი** დიდათ მარგებელია, როგორც კარგი გიგიენური სასმელი სადილობის დროს.

**მთავარი საწყობი ბორჯომში.** წარმომადგენლები: თფილისში, ელისაბედის ქუჩა, № 174, დოლიძე, ყვირილაში ძმები ნიჟარაძე და ა. გ. ჯალაღანია. (7—5)


---

სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის ვრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.

მშრომელ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.